85

უნივერსიტეტი

31 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 2012 წ. №12 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ვადამდელი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების მოთხოვნა გაჟღერდა გვ. 6

ახალი ხელისუფლების გონიერება = საზოგადოების კრიტიკული აზროვნების წახალისებას გვ. 5

სტუდენტური თვითმმართველობის ახალი შემადგენლობა წინამორბედს არ ჩამორჩება გვ. 7

თსუ-ის სტუდენტების სოლიდარობა გაფიცულ მუშებს გვ. 9

დებატები

ვინ? რატომ? როდის? გვ. 8

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ალტერნატიულ ორგანიზაციებად მოაზრებული სხვადასხვა სტუდენტური გაერთიანების წარმომადგენლები საბჭოს ჩამოყალიბების ინიციატივით გამოდიან, რომელიც სტუდენტთა უფლებებს დაიცავს. გარდა ამისა, საბჭოს წევრ-სტუდენტთა გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები პარლამენტარ გია ჟორჟოლიანის დახმარებით პარლამენტში გაჟღერდება.



სტუდენტების „მაჟორიტარი“ პარლამენტში გვ. 9

თენუარის (tenure) ინსტიტუტი — აკადემიური თავისუფლების გარანტი

რა იგულისხმება გია დვალის კონცეფციის მთავარ არსში, რომელიც აკადემიური თავისუფლების დამკვიდრებას ითვალისწინებს?

რას შეცვლის თენუარის (tenure) ინსტიტუტის შემოღება საქართველოში?

ვინ გახდება ძირითადი „ხერხემალი“ განათლების სფეროში?

რა დატვირთვას შეიძენს რეგენტთა საბჭო ახალი კონცეფციის თანახმად?

რა ამოცანების წინაშე დადგება ადმინისტრაცია უნივერსიტეტში მაღალპროფესიული კადრების მოსაზიდად?



რას გულისხმობს აკადემიური თავისუფლება, რასაც თენუარის (tenure) ინსტიტუტის შემოღება უზრუნველყოფს საქართველოში? წარმოგიდგენთ განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელის, საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილი ფიზიკოსის გია დვალის ახალი კონცეფციის (რომელიც ჯერაც დამუშავების ეტაპზეა) მთავარ მონახაზს, რომლის არსებრივ მხარეზე გატონ გიასთან ერთად მუშაობენ ასევე ცნობილი მეცნიერებიც — ზაზა (ზაალ) კოკაია, დავით ლორთქიფანიძე და ვაჟა ბერეჟიანი. მეცნიერთა ეს ბირთვი, რომლის წარმომადგენლებიც იუმორით ამბობენ, რომ ახალი პოლიტიკური რეალობის წყალობით იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ, განათლებისა და მეცნიერების სფეროში სერიოზული რეფორმების გატარების მიზნით კონცეფციას მალე დადებს. სახელმწიფო კომისიას ზემოთ ჩამოთვლილი ცნობილი მეცნიერების გარდა სხვანიც შეუერთდებიან, რის შესახებაც ასევე მალე შეიტყობს საზოგადოება.

გვ. 3

ჩემთვის პრინციპულია აკადემიური თავისუფლება და მასზე დაფუძნებული ავტონომიურობა

ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან გიორგი მარგველაშვილთან

გვ. 2

მარკ დოელის წვლილი სოციალური მუშაობის განათლების დაფუძნებასა და განვითარებაში გვ. 2

საჭიროებს თუ არა სასწავლო პროგრამები დახვეწას? გვ. 4

შექსპირის გავლენა თანამედროვეობაზე გვ. 10

„საბავშვო უნივერსიტეტი“ ფიზიკის როლის დაკნინებას ებრძვის გვ. 11

ჩემთვის პრინციპულია აკადემიური თავისუფლება და მასზე დაფუძნებული ავტონომიურობა

ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრ გიორგი მარგველაშვილთან

განათლებისა და მეცნიერების ახალი მინისტრისთვის მთავარი ღირებულებაა პროფესურა და მხოლოდ ამის შემდეგ იძენს დატვირთვას რექტორი, რომელსაც გიორგი მარგველაშვილი, პირველ რიგში, უმაღლესი სასწავლებლის მენეჯერად განიხილავს. განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა მინისტრის ხედვით, ფინანსური რესურსების გონივრულად მოძიებასთანაა დაკავშირებული, რასაც სამომავლო გეგმების განხორციელებისთვის აუცილებელ ფაქტორად მიიჩნევს. აკადემიური თავისუფლების კონტექსტში მოაზრებული ავტონომიურობის პრინციპის დაცვა მისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ბატონ გიორგი მარგველაშვილთან ინტერვიუ მისი მინისტრად დამტკიცებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავწერეთ და ამდენად, დღეს გააქტიურებულ ყველა თემას იგი ვერ პასუხობს, რასაც, იმედია, გაგებით მოეკიდება ჩვენი მკითხველი.

ნინო კაკულია

ჩემი ინიციატივა რექტორებთან დაპირისპირების თვალსაზრისით აბსოლუტურად უაზრობად მიმაჩნია, რადგან ჩემთვის უმაღლესი სასწავლებელი არ ასოცირდება რექტორთან, რომელიც არის შუამავალი რგოლი პროფესორ-მასწავლებლებსა და ჩვენს ურთიერთობებში. ძირითადი და მთავარი ჩვენთვის პროფესურაა.

— როგორც მოგეხსენებათ, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე გამართული სტუდენტური საპროტესტო გამოსვლებისას სტუდენტთა ერთერთი მთავარი მოთხოვნა იყო რეგენტთა საბჭოს გაუქმება. თქვენ რა პოზიცია გაქვთ ამ საბჭოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით?

— სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, კვალიფიციურ პასუხს ვერ გაგცემთ. მე ვმუშაობდი არა სახელმწიფო, არამედ კერძო უნივერსიტეტში, სადაც მყავდა საზედამხედველო საბჭო, რომელიც, ძირითადად, მუშაობაში მეხმარებოდა. სახელმწიფო უნივერსიტეტში რა სისტემაა, ამის თაობაზე ჯერ ჩამოყალიბებული არ ვარ.

— თქვენი აზრით, რამდენად უკავშირდება რეგენტთა საბჭოს არსებობა უნივერსიტეტის ავტონომიურობის საკითხს და თავად როგორ წარმოგიდგენიათ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების დამოუკიდებლობა?

— თავად სახელმწიფო უკვე წლებია, რაც ძალიან საინტერესო და პოზიტიური — ბოლონიის პროცესის ნაწილია, რომელშიც მთავარი ხაზი გადის სწორედ უნივერსიტეტის ავტონომიურობისა და, ასევე, აკადემიური თავისუფლების პრინციპზე.

დღეს უნივერსიტეტები რატომღაც განიხილება იმ თვალსაზრისით, თუ ვინ არის მისი რექტორი და სწორედ ამ კონტექსტში მოიაზრება თავად უნივერსიტეტის ავტონომიურობაც, მაგრამ რეალურად უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის ხარისხს განსაზღვრავს არა რექტორის ავტონომიურობა, არამედ, უფრო მეტად, პროფესორისა — ეს არის ბოლონიის პროცესის სულისკვეთებაც. პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩემთვის პრინციპულია აკადემიური თავისუფლება და მასზე დაფუძნებული ავტონომიურობა.

— მოგეხსენებათ, რომ აქამდე ეს „თეზისი" დარღვეული იყო. ახალი ხელისუფლების პირობებში ამ იდეის განხორციელებას როგორ ხედავთ?

— სიმართლე გითხრათ, დარღვევები მთელი ქვეყნის მასშტაბით იყო, რადგან ავტორიტარული მმართველობის პირობებში, ბუნებრივია, ეს ვრცელდებოდა არა მარტო პოლიტიკურ სისტემებზე, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ინსტიტუციებზეც. ამ ეტაპზე არ ვიცი, რა ასპექტით იყო უნივერსიტეტი ავტონომიური, რადგან ჩემთან მიმართებაში, ვსაუბრობ როგორც კერძო უმაღლესის ყოფილი რექტორი, ისე მძაფრად არ განვიცდიდი მსგავს პრობლემებს. ჩემი გადასახედიდან, ზოგადად, შემიძლია გითხრათ, რომ აბსურდია საგანმანათლებლო სივრცეში რაიმე ტიპის კონტროლის განხორციელება.

— რა პოზიცია გაქვთ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურის შემცირებასთან დაკავშირებით? ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში თქვენ სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტების დაფინანსების გაზრდის საკითხსაც შეეხეთ. რა გადაწყვეტილებებს მიიღებთ ამ კუთხით?

— საქმე ის არის, რომ სწავლის საფასური არის ის ძირითადი შემოსავალი, რაც აქვს უმაღლეს სასწავლებელს. ამ ეტაპზე გეტყვით მხოლოდ იმას, რომ პრინციპულად არასწორად მიმაჩნია, რომ საუნივერსიტეტო სისტემაში ნაკლები ფული შევიდეს. აბიტურიენტს, რომელიც აბარებს უმაღლეს სასწავლებელში, უნდა მოემსახუროს კვალიფიციური ლექტორი, ამისთვის ლექტორს უნდა ჰქონდეს კვლევისა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობა, უნდა ჰქონდეს კარგი ანაზღაურება, რაც სწავლის საფასურის გადახდასთან არის პირდაპირ დაკავშირებული. შესაბამისად, თუ ჩვენ პოპულიზმის გამო დავუშვებთ გადასახადის შემცირებას, ამით მხოლოდ საკუთარ თავს მოვიტყუებთ, რადგან ფინანსურად ნაკლებად უზრუნველყოფილ უნივერსიტეტში კიდევ უფრო უხარისხო შედეგებს მივიღებთ. შესაბამისად, ჩვენ უნდა ვიფიქროთ არა რაღაც ხელოვნური რეგულირების მექანიზმებზე, არამედ უმაღლესში მეტი ფულის შესვლაზე, ხოლო ეს მეტი ფული ვისი ჯიბიდან ამოვა, ეს სხვა თემაა. სხვათა შორის, რექტორის ერთერთი მთავარი ფუნქციაა, უმაღლესი სასწავლებლის დაფინანსების ალტერნატიულ და მრავალ სხვა წყაროზე გასვლა. ფინანსური რესურსის მოზიდვა მენეჯერის ძირითადი მისიაა, რაზეც უნდა გავაკეთოთ აქცენტი.

— ხელისუფლების შეცვლის პირობებში უნივერსიტეტში დღეს ყველაზე მეტად აინტერესებთ, თუ გამოიწვევს ეს ცვლილება ძვრებს უმაღლეს სასწავლებლებში საკადრო პოლიტიკის კუთხით. ამ მხრივ წამოვა თუ არა ინიციატივა ზემოდან?

— ჩემი ინიციატივა რექტორებთან დაპირისპირების თვალსაზრისით აბსოლუტურად უაზრობად მიმაჩნია, რადგან ჩემთვის უმაღლესი სასწავლებელი არ ასოცირდება რექტორთან, რომელიც არის შუამავალი რგოლი პროფესორ-მასწავლებლებსა და ჩვენს ურთიერთობებში. ძირითადი და მთავარი ჩვენთვის პროფესურაა. არ მგონია, რომ თუ რექტორს შეცვლი, განათლების ხარისხი ამით გაუმჯობესდება — თავს ნუ მოვიტყუებთ. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლექტორს, მის სასწავლო გეგმას, პროგრამასა და კვლევას. შესაბამისად, თუ ჩემი მხრიდან უმაღლეს განათლებას შეიძლება ჰქონდეს რაიმე ტიპის მხარდაჭერა ან დახმარება, ბუნებრივია, ეს მიმართული იქნება იმ ადამიანის სასიკეთოდ, რომელიც ასწავლის და არა მის მიმართ, რომელიც სისტემის მენეჯმენტს უდგას სათავეში.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მთავარი პრობლემა არის ის, რომ ხშირად განათლების სისტემა განიხილება რექტორთან ურთიერთობის კონტექსტში, რაც, ჩემი აზრით, მცდარია. განათლების სისტემა უნდა მოვიაზროთ ლექტორთან და სტუდენტთან ურთიერთობის კონტექსტში, თუმცა, იმედი მაქვს, რომ უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელი პირები ჩემთან პარტნიორულ ურთიერთობებს ააგებენ. ამის მთავარ აზრს კი იმაში ვხედავ, რომ ერთად შევძლოთ მეტი ფულის შოვნა უნივერსიტეტებისთვის.

— გახდება თუ არა პრიორიტეტი მეცნიერების განვითარება ჩვენს ქვეყანაში, რასაც ნაკლები ყურადღება ექცეოდა აქამდე?

— გეთანხმებით, რომ მეცნიერების განვითარების კუთხითაც ქვეყანაში რთული მდგომარეობა გვქონდა. მაგალითად, შარშან, ჩემთვის ძალიან მძიმე პროცესი წარიმართა ორ ძალიან მნიშვნელოვან ინსტიტუტთან მიმართებაში, როდესაც ფსიქოლოგიის ინსტიტუტი და ფილოსოფიის ინსტიტუტი დახურეს. ამ ინსტიტუტებმა უდიდესი როლი ითამაშა ადამიანის ჩამოყალიბებაში და, უცებ, ეს ინსტიტუტები საქართველოს სამეცნიერო რუკიდან გაქრა. მე, პირადად, ძალიან ვიდარდე ამის თაობაზე.

რა შეიძლება გაკეთდეს? ჩემი აზრით, მეცნიერება და განათლება უნდა იყოს ძალიან ახლოს ერთმანეთთან — ეს პროცესი აბსოლუტურად შეუქცევადია, რაც პირდაპირ უკავშირდება ბოლონიის პროცესს, რომელშიც ჩვენ ვმონაწილეობთ. ამ მხრივ ბევრია საფიქრალი... ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კვლევაში აზრიანად ჩაიდოს ფული და მაქსიმალური წახალისების ფონი შევუქმნათ მკვლევარს. ამ მიმართულებით მოკლე დროში უკვე ჩამოვყალიბდებით და ჩემი მინისტრად დამტკიცების შემდეგ კიდევ ბევრ სხვა აქტუალურ თემაზე ვფოკუსირდები.

თსუ-ის საპატიო დოქტორი

მარკ დოელის წვლილი სოციალური მუშაობის განათლების დაფუძნებასა და განვითარებაში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ბრიტანეთის შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტის პროფესორს მარკ დოელს თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა.

მარკ დოელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან 2005 წლიდან თანამშრომლობს და სწორედ მის სახელს უკავშირდება პირველად საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო პროგრამის — სოციალური მუშაობის — ამოქმედება.

მე-4 გვერდზე

პროფესიონალიზმისა და ადამიანური კეთილშობილების განსახიერება

17 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა ჰამბურგის მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორს იურგენ ბაზედოვს.

მაია ტორაძე

საპატიო დოქტორის მინიჭების ცერემონიალზე პროფესორ ბაზედოვის სამეცნიერო დამსახურებასა და მის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიმართ გამოჩენილ განსაკუთრებულ ყურადღებაზე ისაუბრა თსუ-ის პრორექტორმა, იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის მიმართულების პროფესორმა ლევან ალექსიძემ.

იურგენ ბაზედოვის მოღვაწეობა მიმოიხილა გერმანიაში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა ლადო ჭანტურიამ.

„პროფესორი ბაზედოვი გახლავთ პროფესიონალიზმისა და ადამიანური კეთილშობილების განსახიერება, ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი, ასე ახასიათებს მას ყველა, ვისაც ჰამბურგის მაქს პლანკის ინსტიტუტში უმუშავია. მხოლოდ ბიოგრაფიული მონაცემებისა და სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალის გაცნობაც კი საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ, რა დონის მეცნიერთან გვაქვს საქმე. არ მეგულება დღეს კერძო სამართლის, საერთაშორისო კერძო სამართლისა და საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის არც ერთი პრობლემა, რომლის განხილვაშიც პროფესორი ბაზედოვი აქტიურად არ იყოს ჩართული.

მე-4 გვერდზე

თენუარის (tenure) ინსტიტუტი — აკადემიური თავისუფლების გარანტი

ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელ გია დვალთან

ნინო კაკულია

— ბატონო გია, რამდენადაც ფართო საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, შეიქმნება განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო კომისია, რომელსაც თქვენ უხელმძღვანელებთ. რეფორმების გატარებისას თქვენს მიერ გახმოვანებულ მთავარ იდეად უნივერსიტეტებსა და სასწავლო დაწესებულებებში აკადემიური თავისუფლების დამკვიდრება მოიაზრება. უფრო კონკრეტულად, რას გულისხმობს ეს იდეა, ეს მთავარი პრინციპი?

— აკადემიის (ანუ უნივერსიტეტს ვგულისხმობ) მთავარი მისიაა მოიპოვოს და გაავრცელოს ცოდნა. აკადემიური თავისუფლება გულისხმობს იმას, რომ ჭეშმარიტების ძიების ამ პროცესში პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს სრული თავისუფლება აქვთ — ასწავლონ და გაავრცელონ იდეები საკუთარი მეცნიერული მრწამსის შესაბამისად, იმისდა მიუხედავად, ეწინააღმდეგება თუ არა მათი იდეები ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების ან მმართველი წრეების ინტერესებს.

აკადემიური თავისუფლების ერთერთი უმნიშვნელოვანესი დამცავი მექანიზმი არის თენუარის (tenure) ინსტიტუტი, რაც გულისხმობს პროფესორის თანამდებობის მუდმივობას და სტაბილურობას. „თენუარის" მიღების შემდეგ თანამდებობა ხელშეუხებელია პროფესორის ან მკვლევარის მეცნიერული მრწამსის და პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებების მიუხედავად. პროფესორი თავისუფალი და დამოუკიდებელია თავის მეცნიერულ კვლევებში და საკუთარი შეხედულებების გავრცელებაში. თავისუფალი აკადემიური მოღვაწეობა არ უნდა აყენებდეს მას რეპრესიების ან თანამდებობის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

თენუარის კონცეფციის ფარგლებში უნივერსიტეტის ძირითადი თვითმმართველი ორგანო ხდება ფაკულტეტის საბჭო, რომელიც შედგება „თენუირებული" (tenured) და „თენუარის კანდიდატი" (tenure-track) პროფესორებისგან. კრებასთან ანგარიშვალდებული არიან მიზნობრივი და დარგობრივი კომიტეტები, რომლებიც ამავე პროფესორებისგან არის დაკომპლექტებული.

— ვინაიდან თენუარის ინსტიტუტის შესახებ ქართულ მედიასა თუ სამეცნიერო წრეებში ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას, იქნებ განვმარტოთ მისი მნიშვნელობა...

— თენუარის (tenure) ინსტიტუტი არის აკადემიური თავისუფლების ერთერთი უმიშვნელოვანესი დამცავი მექანიზმი. თენუარის სისტემა აკადემიურ თავისუფლებას და ხარისხს იცავს და აკონტროლებს შემდეგნაირად: თენუარის კონცეფციის ფარგლებში უნივერსიტეტის ძირითადი თვითმმართველი ორგანო ხდება ფაკულტეტის საბჭო, რომელიც შედგება „თენუირებული" (tenured) და „თენუარის კანდიდატი" (tenure-track) პროფესორებისგან.

აკადემიური თავისუფლება გულისხმობს იმას, რომ ჭეშმარიტების ძიების ამ პროცესში პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს სრული თავისუფლება აქვთ — ასწავლონ და გაავრცელონ იდეები საკუთარი მეცნიერული მრწამსის შესაბამისად, იმისდა მიუხედავად, ეწინააღმდეგება თუ არა მათი იდეები ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების ან მმართველი წრეების ინტერესებს.

თენუარის მინიჭებამდე უმცროსი პროფესორი გადის ე.წ. თენუარის გზას (tenure track). ამ გზაზე საწყისი პოზიცია არის ასისტენტ-პროფესორის დონეზე (ზოგიერთ შემთხვევაში „tenure-track" შეიძლება ასოცირებული პროფესორიც იყოს). ასეთი პროფესორი მიღებულია თანამდებობაზე საცდელი ვადით, დაახლოებით 5-7 წელი. ამ ვადის განმავლობაში ის პროფესურის სრულუფლებიანი წევრია და თანაბარუფლებიანად მონაწილეობს დეპარტამენტის (ან ფაკულტეტის) მმართველ კრებაში. კენჭისყრის შემთხვევაში მას ისეთივე ხმის უფლება აქვს, როგორიც „თენუირებულ" პროფესორებს. საცდელი პერიოდის განმავლობაში ხდება მისი სამეცნიერო და სასწავლო მოღვაწეობის შეფასება და შეჯამება, რაზე დაფუძნებითაც შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება მისთვის თენუარის სტატუსის მინიჭებაზე. ეს პროცესი დაახლოებით ასე წარიმართება: მას შემდეგ, რაც „თენუირებული" კოლეგები მოახდენენ ამ პროცესის ინიცირებას, ფაკულტეტის „თენუირებული" პროფესურის კრება ქმნის სპეციალურ კომიტეტს (დაახლოებით 3 „თენუირებული" პროფესორის შემადგენლობით). ეს კომიტეტი აანალიზებს და აჯამებს კანდიდატის მოღვაწეობას ყველა საჭირო ასპექტის მიხედვით. ამ პროცესის ნაწილია გარეშე რეფერირება, ანუ სხვა წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორებისგან წერილების შეგროვება, სადაც კანდიდატის მეცნიერული მოღვაწეობა იქნება შეფასებული. ამ ყველა მასალაზე დაყრდნობით კომიტეტი ადგენს დასკვნას (პორტფოლიოს) და წარუდგენს სრულიად „თენუირებულ" პროფესორთა საბჭოს შესაბამის დასკვნასთან ერთად. ამის შემდეგ ხდება მსჯელობა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება კენჭისყრით.

ფაკულტეტის გადაწყვეტილება ეგზავნება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს (საუნივერსიტეტო თენუარის კომიტეტს) და დეკანს, რომელიც შემდგომი შესწავლის შემდეგ ეტაპზე (რომლის დროსაც შეიძლება მოთხოვნილი იყოს დამატებითი მასალები), უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას თენუარის სტატუსის მინიჭებაზე (ან არ მინიჭებაზე). მხოლოდ ამის შემდეგ იღებს კანდიდატი თენუარის (tenure) სტატუსს. თენუირებული პროფესორების არსებობა არის აკადემიური თავისუფლების გარანტია ყველა დანარჩენი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

რეფორმების გატარების პარალელურად აუცილებელია — დიდი რესურსი იქნას მიმართული სათანადო კადრების გამოსავლენად და მათ მოსაზიდად. ასეთ დროს მნიშვნელოვანი იქნება დიფერენცირებული მიდგომა. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არ უნდა დაელოდოს პასიურად დაინტერესებულ კანდიდატებს, არამედ უნდა აგრესიულ „რეკრუტინგს" მიმართოს და ყველა ძალა იხმაროს, რომ მაღალი ხარისხის კადრები მოიზიდოს.

— ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტები აპროტესტებენ რეგენტთა საბჭოს ფუნქციონირებას, რომელთა შემადგენლობაში შესულ თანამდებობის პირებს, მათი აზრით, უნივერსიტეტების კონტროლის ერთგვარი ბერკეტი აქვთ. თქვენ რა აზრის ბრძანდებით ამ საბჭოს მუშაობაზე, მის არსებობასა და ფუნქციებზე? (რეგენტთა საბჭო განკარგავს უნივერსიტეტების ქონებას, ამტკიცებს სახელმწიფო უნივერსიტეტების ბიუჯეტს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს) რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ სტუდენტთა მოთხოვნა ამ საბჭოს გაუქმების შესახებ? როგორი იქნება თქვენი რეკომენდაცია?

საინსტიტუტო მეცნიერების კონცეფციაა შესამუშავებელი, ანუ საუნივერსიტეტო მეცნიერების გვერდზე უნდა ითანაარსებოს საინსტიტუტო მეცნიერებამ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ცენტრების სახით. ამ ორი ფორმის თანაარსებობა და თანამშრომლობა ძალიან ეფექტურია.

— სისტემა შესაცვლელია და მასში შესატანია თენუარის ინსტიტუტი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს ინსტიტუტი ავტომატურად იძლევა თვითმმართველობის მაღალ ხარისხს. ვინაიდან ამ კონცეფციის მიხედვით ძირითად ხერხემლად პროფესორთა კრება მოიაზრება, ამიტომ, ასეთ შემთხვევაში რეგენტთა საბჭოს ტიპის ორგანო უკვე სულ სხვა დატვირთვას იძენს და მას უფრო დამცავი და მარეგულირებელი მექანიზმის ფუნქცია ეკისრება. ახლანდელ სისტემაში მთავარი პრობლემა თენუარის არარსებობა და, შესაბამისად, აკადემიური თავისუფლების დაუცველობაა. როცა ეს მთავარი პრობლემა გადაიჭრება, სისტემა წონასწორობაში მოვა.

— უნივერსიტეტების ავტონომიურობა დღემდე რჩება პროფესორთა და სტუდენტთა ერთერთ მტკივნეულ საკითხად. როგორ გესახებათ რეალურად უნივერსიტეტების ავტონომიურობის პრინციპის დაცვა და რამდენად იქნება ეს შესაძლებელი?

— ზემოთ მოყვანილი თენუარის ინსტიტუტი და ფაკულტეტის კრების თვითმმართველობა ამ კითხვას პასუხს სცემს ნაწილობრივ მაინც.

უნივერსიტეტი, სადაც პროფესორებს თენუარე აქვთ და თვითმმართველობა გააჩნიათ, ბუნებრივად, ავტონომიურობის მაღალ ხარისხს იძენს.

— რას მოიცავს ავტონომიურობა თქვენი აზრით? შეიცვლება თუ არა რექტორთა და დეკანთა არჩევის წესი?

— იმ კონცეფციის ფარგლებში, რაც ზემოთ ჩამოვაყალიბე, ეს ტექნიკური დეტალია, რომელიც პროცედურულად უნდა დაზუსტდეს. რა თქმა უნდა, ამ შერჩევაში ფაკულტეტის წევრები სრულად იქნებიან ჩართულნი, მაგრამ მათი თვითმმართველობის დონე იმდენად მაღალია, რომ ის, კონკრეტულად თუ როგორ ირჩევა დეპარტამენტის ხელმძღვანელი (Department Chair) ან ფაკულტეტის დეკანი (Dean of faculty), შეიძლება უბრალოდ შინაგანაწესით დადგინდეს. მაგალითად, იგი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ რომც ინიშნებოდეს, ეს თვითმმართველობას საფრთხეს მაინც ვეღარ შეუქმნის.

— ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან მაღალკვალიფიციური კადრების გადინების მიზეზად რას დაასახელებთ, თუკი ეს ტენდენცია თქვენთვის შესამჩნევია?

— ამ კონკრეტული ტენდენციის სტატისტიკას არ ვიცნობ, მაგრამ მიზეზი ზოგადია და ღრმა, რაც სისტემის არაეფექტურობაში მდგომარეობს.

— რა გზით უნდა მოხერხდეს აკადემიური კონკურსების წესით იმ პროფესორთა შერჩევა, ვინც რეალურად იმსახურებს ადგილს უნივერსიტეტში? მოგწონთ თუ არა ის კრიტერიუმები, რაც აქამდე პროფესორების თანამდებობებზე არჩევის წინაპირობა გახლდათ? რა უნდა შეიცვალოს?

— მაღალი ხარისხის პროფესურის მოზიდვა ერთერთი ყველაზე დიდი პრობლემაა და ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ეს პრობლემა, რა თქმა უნდა, გადაჯაჭვულია სისტემის სხვა ხარვეზებთან და გლობალურ გადაწყვეტას საჭიროებს. რეფორმების გატარების პარალელურად აუცილებელია — დიდი რესურსი იქნას მიმართული სათანადო კადრების გამოსავლენად და მათ მოსაზიდად. ასეთ დროს მნიშვნელოვანი იქნება დიფერენცირებული მიდგომა. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არ უნდა დაელოდოს პასიურად დაინტერესებულ კანდიდატებს, არამედ უნდა აგრესიულ „რეკრუტინგს" მიმართოს და ყველა ძალა იხმაროს, რომ მაღალი ხარისხის კადრები მოიზიდოს. ასეთი კადრების გამოვლენაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს გარეშე ექსპერტების (გარეშე რეფერების) სისტემის ამუშავებას, ამ დროს კადრების შერჩევაში დიდ როლს თამაშობს გარეშე (საერთაშორისო) პროფესორებისგან დაკომპლექტებული კომიტეტი, რომელსაც სთხოვენ სხვადასხვა კანდიდატების შედარებას და დახასიათებას.

ამასთან, პარალელურად, დონის ასამაღლებლად უნივერსიტეტებმა უნდა გამოიყენონ მოწვეული პროფესორების რესურსიც, ანუ ის ხალხი, რომელიც უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში მოღვაწეობს. მათ შეუძლიათ რეგულარულად გარკვეული დრო საქართველოს უნივერსიტეტებში გაატარონ და ლექციების კურსი წაიკითხონ.

თუმცა, ყველაზე მთავარი მაღალი ხარისხის ლოკალურად დაფუძნებული თენუირებული პროფესურის ჩამოყალიბებაა და ეს მარტივი ამოცანა არ არის.

— როგორ გესახებათ მეცნიერების განვითარება საქართველოში, რაც აქამდე პრიორიტეტულ მიმართულებად არ სახელდებოდა? რა უნდა გაკეთდეს ამ კუთხით?

— ძალიან ბევრი რამ უნდა გაკეთდეს! ეს კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს გარდა იმ რეფორმების გატარებისა, რაც ზემოთ მოგახსენეთ. საინსტიტუტო მეცნიერების კონცეფციაა შესამუშავებელი, ანუ საუნივერსიტეტო მეცნიერების გვერდზე უნდა ითანაარსებოს საინსტიტუტო მეცნიერებამ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ცენტრების სახით. ამ ორი ფორმის თანაარსებობა და თანამშრომლობა ძალიან ეფექტურია.

— უნივერსიტეტების, მეცნიერების დაფინანსებასთან დაკავშირებით როგორია თქვენი ხედვა? რა საჭიროებები იკვეთება ამ მიმართულებით?

— მთავარი დამფინანსებელი სახელმწიფო უნდა იყოს. ამაზე მომგებიანი ინვესტიციის წარმოდგენა ძალიან ძნელია. ეს ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგრამ განათლებასა და მეცნიერებაში ჩადებული ფინანსები ასმაგად გვიბრუნდება უკან თუნდაც ჩვენი შვილების განათლების და ინტელექტის ამაღლების სახით. პარალელურად, მაქსიმალურად უნდა მოხდეს კერძო დონორების და საერთაშორისო და კერძო გრანტების პოტენციალის გამოყენება.

— დამატებით რაზე გაამახვილებს ყურადღებას თქვენი კომისია რეფორმების შემუშავებისას?

— ყველაფერზე, რაშიც ჩვენი ექსპერტიზა და გამოცდილება გამოდგება.

P.S. ფართო საზოგადოებისთვის უფრო გასაგები რომ იყოს tenure-ის მნიშვნელობა, შეგვიძლია მივანიშნოთ, რომ თენუარის (tenure) ინსტიტუტი „მუდმივი კონტრაქტის" ინსტიტუტადაც შეგვიძლია მოვიხსენიოთ, ხოლო „თენუირებული" (tenured) — „მუდმივი კონტრაქტის" მქონედ, თუმცა თენუარის (tenure) ინსტიტუტი გაცილებით უფრო მეტი დატვირთვის მატარებელია, როგორც ეს თავად ბატონმა გიამ განგვიმარტა.

საჭიროებს თუ არა სასწავლო პროგრამები დახვეწას?

საჭიროებს თუ არა სასწავლო პროგრამები დახვეწას, ამ პროგრამების აკრედიტაციის გავლის მიუხედავად — ეს კითხვა გაჩნდა მას შემდეგ, რაც სტუდენტთა ნაწილი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და უკეთესი სასწავლო პროგრამების მათთვის შეთავაზებას ითხოვს. როგორც გავარკვიეთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიმდინარე წელს დაასრულა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკრედიტაცია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ უნივერსიტეტი ცდილობს მისი ყველა საგანმანათლებლო პროგრამა ხარისხის ნიშანს ატარებდეს.

დღეისათვის უნივერსიტეტში მოქმედებს 320 საგანმანათლებლო პროგრამა (193 მოქმედი; 125 — მილევადი). მათ შორის ბაკალავრიატში მუშაობს 65 პროგრამა (მათ შორის 5 – მილევადი); მაგისტრატურაში – 96 (მათ შორის 7 მილევადი); დოქტორანტურაში 156 (აქედან 113 მილევადი). 3 საგანმანათლებლო პროგრამაა ერთსაფეხურიან სწავლებაზე (მედიცინის ფაკულტეტი) და 5 – პროფესიულ სწავლებაზე.

აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებს შორის ბევრია სრულიად ახალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, რომლებიც მთლიანადაა ორიენტირებული შრომით ბაზარზე და კურსდამთავრებულთათვის მაღალი კვალიფიკაციის მინიჭებაზე.

რა ეტაპები გაიარა უნივერსიტეტმა აკრედიტაციის პროცესების წარმატებით გასავლელად და რა სიახლეებია სასწავლო პროგრამების მხრივ, ამ საკითხებზე გვესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **თამარ ვეფხვაძე:**

მაია ტორაძე

— ***რამ განაპირობა, რომ გასულ წელს მხოლოდ საბაკალავრო პროგრამების აკრედიტაცია გავიარეთ? ხომ არ გახდა საჭირო რომელიმე პროგრამისთვის აკრედიტაციის პროცესის განმეორებით გავლა?***

— არა, ასეთი რამ არ ყოფილა. შარშან გავიარეთ საბაკალავრო პროგრამების, ხოლო წელს — სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკრედიტაცია.

ზოგადად, პროგრამული აკრედიტაცია 5 წლიანია და მისი ხელახლა გავლა, თუ პროგრამაში მომხდარი ცვლილებები განსხვავებულ შედეგს არ იძლევა, საჭირო აღარ არის. ასეთ შემთხვევაში საკმარისია ამ ცვლილების შესახებ ეცნობოს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და სათანადო ცვლილებები მოხდეს უნივერსიტეტის სივრცეში (ეს ცვლილებები გულისხმობს ხელმძღვანელის მიერ პროგრამის წარდგენას, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვიზირებას, აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცებას და ა.შ).

რაც შეეხება იმას, თუ რატომ გავიარეთ შარშან მხოლოდ საბაკალავრო პროგრამების აკრედიტაცია. საქმე ისაა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტების საბაკალავრო პროგრამებზე დარეგისტრირება გარკვეულ ვადებში ხორციელდება და იმ საინფორმაციო ცნობარში, რომელსაც გამოცდების ეროვნული ცენტრი აწვდის აბიტურიენტებს, ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა ის პროგრამა, რომელიც აკრედიტებულია და შეუძლიათ აირჩიონ. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამების აკრედიტაცია ძალიან საშური იყო და პირველ რიგში სწორედ ეს პროცედურა გავიარეთ.

წელს უკვე დღის წესრიგში დადგა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის საკითხი. ეს უნივერსიტეტისთვის გარკვეული ტესტიც იყო, და ჩვენ ეს წარმატებით გავიარეთ.

აქვე დავამატებ, რომ აკრედიტაციის პროცესი პროგრამების მოდიფიცირებასაც გულისხმობდა, რადგანაც წინა პლანზე წამოიწია პროგრამის შრომით ბაზარზე ორიენტაციის ფაქტორმა, ანუ, რამდენად ეფექტურია საგანმანათლებლო პროგრამა დასაქმების ბაზრის მოთხოვნების მიმართ. თუმცა ესეც სადავო მოცემულობაა: რას ნიშნავს, მე ვარ დასაქმებული? ერთია, როცა ვარ ჩემი პროფილით დასაქმებული და მეორე, როცა დასაქმებული ვარ სხვა პროფილით, მაგრამ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები მაძლევს საშუალებას, სხვა დარგშიც წარმატებული ვიყო.

როდესაც ჩვენ ვაკეთებთ გარკვეულ კვლევებს, თუ რომელი სპეციალობის კურსდამთავრებულები არიან მეტ-ნაკლებად დასაქმებულნი, ვიღებთ სურათს, თუ სად რა მდგომარეობაა და როგორ უნდა ჩამოყალიბდეს საგანმანათლებლო პროგრამა, რომ ჩვენმა კურსდამთავრებულმა შრომით ბაზარზე წარმატებას მიაღწიოს.

— ***კვლევების მიხედვით, რომელი მიმართულების კურსდამთავრებულნი არიან მეტად დასაქმებულნი?***

— ასეთია იურიდიული ფაკულტეტი, რომლის კურსდამთავრებულებიც პოლიტიკურ ან სამართლებრივ ასპარეზზე საქართველოში ყველაზე წარმატებული ადამიანები არიან.

ასევე კარგი მაჩვენებლები გვაქვს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულებით, ეკონომიკისა და ბიზნესის და მედიცინის სფეროებში.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა ჰუმანიტარულ და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებითაც, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: მათ უნდა ეძლეოდეთ პედაგოგიური მოღვაწეობის საშუალება. ვფიქრობ, საგანმანათლებლო პოლიტიკაში უნდა მოხდეს ცვლილება, რასაც გაითვალისწინებენ იმ სამართლებრივ რეგულაციებში, რომელიც დღეს არსებობს.

დღევანდელი რეგულაციებით მდგომარეობა ასეთია: უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, თუ ის არ არის კონკრეტულად პედაგოგიკის მეცნიერებათა ბაკალავრი, მაგისტრი ან დოქტორი, დამატებით სჭირდება 60 კრედიტიანი პროგრამის გავლა (ე.წ MINOR), რომ სკოლაში სწავლების უფლება მიეცეს. ეს მაშინ, როცა ჩვენმა თაობამ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, დარგის ცოდნასთან ერთად, მასწავლებლის კვალიფიკაციაც მივიღეთ და ბევრი ჩვენგანი დღესაც წარმატებით

მე-7 გვერდზე

მარკ დოელის წვლილი სოციალური მუშაობის განათლების დაფუძნებასა და განვითარებაში

მეორე გვერდიდან

იგი გახლდათ პროექტის „სოციალური მუშაობის განათლების დაფუძნება საქართველოში“ აკადემიური ხელმძღვანელი, რომლის მეშვეობითაც თსუ-ის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებამ პირველად მოიპოვა ევროკომისიის ტემპუს/ტასისის 3 წლიანი გრანტი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში თსუ-ის პარტნიორები შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტი და ლუბლიანას უნივერსიტეტი იყვნენ.

„ამ წოდების მიღება ჩემთვის დიდი პატივია. პროექტის დაწყების დღიდან საქართველოსთან აქტიური ურთიერთობა მაქვს და ამ პატივს ვიღებ არა მხოლოდ ჩემი, არამედ მთელი იმ გუნდის სახელით, რომელიც პროექტში ჩვენი უნივერსიტეტის მხრიდან არის ჩართული. ეს არის ყველაზე წარმატებული პროექტი, რომელშიც ქართველ კოლეგებთან ერთად მიმიღია მონაწილეობა. სოციალური მეცნიერებების თვალსაზრისით თსუ ნამდვილად განვითარებულია საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქ სოციალური მუშაობის პროგრამა სწავლების სამივე საფეხურს მოიცავს, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მუშაკების პრაქტიკული საქმიანობისთვის მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს“, — აღნიშნა პროფესორმა მარკ დოელმა.

ამ დროისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური მუშაობა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე — ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანატურაშიც ისწავლება. სტუდენტებს ლექციებს ქართველ პროფესურასთან ერთად პროფესორი მარკ დოელიც უკითხავს. იგი გახლავთ, ასევე, სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამის კონსულტანტი და 5 დოქტორანტის აკადემიური ხელმძღვანელი. ასევე, აღსანიშნავია, რომ თსუ ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში, რომელიც სოციალური მუშაობის მიმართულებით კვალიფიციური კადრების მომზადებას უზრუნველყოფს.

პროფესორ მარკ დოელისთვის თსუ-ის საპატიო დოქტორის მინიჭების ცერემონიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი უძღვებოდა. მისი თქმით, თსუ-ში სოციალური მუშაობის პროგრამა ერთერთი წარმატებული მიმართულებაა, რომლის კურსდამთავრებულებიდან თითქმის ყველა დასაქმებულია და ამ პროფესიის კადრები ქვეყანაში იმაზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მოთხოვნა არსებობს.

„არ არის ხშირი მოვლენა, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადამიანს ასე ერთსულოვნად ანიჭებს საპატიო დოქტორის წოდებას. ჩვენ ვუფრთხილდებით პრესტიჟსა და სახელს. პროფესორმა მარკ დოელმა და თსუ-მ ძალიან დიდი და კარგი საქმე გააკეთა საქართველოსთვის. აქტიურად ვიყავი ჩართული ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში და ის როლი, რომელიც ამ პროცესში სოციალურმა სამსახურმა შეასრულა ძალიან დიდი იყო. მოხდა ათასობით ბავშვის დეინსტიტუციონალიზაცია, მათი ოჯახებში განთავსება. თუმცა ფიზიკურად არ არსებობდა სოციალური მუშაობის განათლების მქონე ადამიანები, რომლებიც მაშინ დიდ საჭიროებას წარმოადგენდნენ. სწორედ ასეთ დროს ბატონმა იაგო კაჭკაჭიშვილმა დაიწყო ამ პროგრამის ამოქმედებაზე ზრუნვა და ყოველთვის ვიტყვი, რომ ეს მიმართულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთერთი ყველაზე წარმატებულია“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა.

„თსუ-ის ერთგულ მეგობარს საპატიო პროფესორს მარკ დოელს თსუ-ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებითა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარდგინებით თსუ-ის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. ამით ჩვენ ვაღიარეთ მარკ დოელის უზარმაზარი წვლილი თსუ-ში და, ზოგადად, საქართველოში სოციალური მუშაობის განათლების დაფუძნებასა და განვითარებაში. მინდა აღვნიშნო, რომ მარკ დოელი არის რამდენიმე საერთაშორისოდ აღიარებული ჟურნალის თანარედაქტორი, მათ შორის აღსანიშნავია საქართველოში სოციალური მეცნიერებების სფეროში არსებული ერთადერთი ჟურნალი „სოციალური მუშაობა და სოციალური პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში“. ეს ჟურნალი ტემპუსის პროექტების ფარგლებში დაფუძნდა და 2008 წლიდან გამოდის. ჩვენ ძალიან ამაყები ვართ, რომ მისი პირველი 4 ნომერი საქართველოში გამოიცა. გვინდოდა, ამ ჟურნალს, როგორც ძალიან მნიშვნელოვან პრეცედენტს საქართველოში სოციალური მეცნიერებების სფეროში, ტემპუსის პროგრამის დასრულების შემდეგ არსებობა გაეგრძელებინა. საბედნიეროდ, ერთერთმა ბრიტანულმა გამომცემლობამ გადაწყვიტა, რომ თსუ-სთან ერთად ჟურნალის თანამფლობელი გამხდარიყო. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა და მეხუთე ნომერი უკვე გამოიცა ლონდონში. მიხარია, რომ საქართველოში დაწყებული საქმე უფრო მაღალ დონეზე ავიდა და საერთაშორისო რეზონანსი შეიძინა“, — განაცხადა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელმა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

მარკ დოელის თსუ-ის საპატიო დოქტორის მინიჭების საზეიმო ცერემონია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 26 ოქტომბერს გაიმართა.

***მოამზადა* ნატო ოგოლაძემ**

პროფესიონალიზმისა და ადამიანური კეთილშობილების განსახიერება

მეორე გვერდიდან

იგი არის თანამედროვეობის უდიდესი მეცნიერი და მეამაყება, რომ ჩემმა მშობლიურმა უნივერსიტეტმა მას საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა“, — განაცხადა ლადო ჭანტურიამ.

ცერემონიალზე პროფესორმა იურგენ ბაზედოვმა მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსა და ქართველ კოლეგებს მისი ღვაწლის დაფასებისთვის.

„ტიტული, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მომანიჭა, არის ყველაზე დიდი წოდება, რაც კი შეიძლება მეცნიერმა მიიღოს. ეს, ერთი მხრივ, არის სამეცნიერო საქმიანობის დაფასება და მეორე მხრივ — ძალიან მჭიდრო კავშირი ადამიანებსა, მათ საქმიანობასა და, ასევე, ქვეყნებს შორის. წლების განმავლობაში საქმიანი ურთიერთობები არსებობს თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტსა და მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტს შორის. განსაკუთრებით მინდა გამოვყო 2008 წელს საქართველოს თემაზე ჩატარებული კონგრესი მაქს პლანკის ინსტიტუტში, რომელიც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნისათვის დამახასიათებელ სირთულეებსა და მისი გადალახვის გზებს უკავშირდებოდა. მახსენდება არაერთი ქართველი კოლეგა, რომლებთანაც მიწევდა თანამშრომლობა. ჩემთვის ამ ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნო იყო“, — განაცხადა იურგენ ბაზედოვმა.

საპატიო დოქტორის მინიჭების ცერემონიალს ესწრებოდნენ ცნობილი მეცნიერები გერმანიიდან, კავკასიისა და ცენტრალური/შუა აზიის რეგიონებიდან. 18 ოქტომბერს მათ ასევე მიიღეს მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში, რომლის მუშაობაში ჩართული იყო პროფესორი იურგენ ბაზედოვიც.

საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა და ჰამბურგის მაქს-პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის პარტნიორობით. მისი თემა იყო „კერძო სამართლის განვითარება კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ტრანსფორმაცია სამართლის ტრანსპლანტაციის მეშვეობით“.

ახალი ხელისუფლების გონიერება = საზოგადოების კრიტიკული აზროვნების წახალისებას

შეხვედრა მწერალთან „სტუდენტური მოძრაობა და ეპოქა“

უნივერსიტეტი საქართველოს ისტორიაში მხოლოდ საგანმანათლებლო კერა არასოდეს ყოფილა. დაარსების დღიდან ამ კედლებში იწრთობოდა ქვეყნისა და აზრის თავისუფლებისთვის ბრძოლის სატევარი — აქედან დაიწყო ყველა მოძრაობა, რომელიც ქართველი ერის დამოუკიდებლობისა და ქართული ენის შენარჩუნებისთვის სწრაფვას მიესადაგა. ასე იყო გასული საუკუნის ავბედით 30-იან წლებში, ასე გაგრძელდა 1978 წელს და 80-იანი წლების ბოლოს, როცა უნივერსიტეტის სტუდენტობა იყო ის ფარი და მახვილი, რომელმაც ქვეყანას დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა მოუტანა. ალბათ ამიტომაც, ეს მოძრაობები ყოველთვის მიიჩნეოდა ახალი ეპოქის დასაწყისად, რის გამოც ინტერესი მის მიმართ არასოდეს განელებულა.

შემთხვევითი არც ის იყო, რომ 23 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მწერალ დათო ტურაშვილთან გამართული შეხვედრა — „სტუდენტური მოძრაობა და ეპოქა“ ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტივობასა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ეტაპებზე მათ წარმმართველ როლს ეხებოდა.

დათო ტურაშვილი ის მწერალია, რომელთან საუბრებიც ახალგაზრდობას განსაკუთრებით უყვარს მისი გულწრფელობის, უშუალობის და პირდაპირობის გამო. ბოლო დროს, როცა სტუდენტთა გააქტიურებამ ბევრს გაახსენა ეროვნული მოძრაობის პერიოდის უნივერსიტეტი, დათო ტურაშვილი კიდევ მეტად საინტერესო გახდა, რადგანაც იგი ერთერთი მოთავე იყო 80-იანი წლების ბოლოს გამართული არაერთი აქციისა, რომელიც მაშინ სხვადასხვა ეროვნულ საკითხს ეძღვნებოდა.

მწერალთან შეხვედრა გახსნა ინიციატორი ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის“ წარმომადგენელმა თეკლა ჯამრულიძემ, აუდიტორიას კი დათო ტურაშვილი სოციოლოგმა, თსუ-ის პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა წარუდგინა.

მაია ტორაძე
სალომე გორგოძე

ახალი ეპოქის გამოძახილი „როკი, უპირველეს ყოვლისა!“

დათო ტურაშვილი ტრადიციულად გულწრფელი იყო სტუდენტთა ბოლოდროინდელი აქტივობის შეფასებისას. მან წინ გადადგმული ნაბიჯი უწოდა ხელისუფლების ცვალებადობას და განაცხადა, რომ ასეთი ცვლილება აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისთვის. „არა ვარ ისეთი გულუბრყვილო, რომ დავიჯერო — რადგან ხელისუფლება შეიცვალა, ავტომატურად ყველაფერი კარგად იქნება. არ მინდა თავი მოვიტყუო და ამას არც თქვენ გირჩევთ. როგორი იქნებიან და როგორ იღვაწებენ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები, ეს ჩვენზეა დამოკიდებული.

მომეწონა სტუდენტების აქცია პარლამენტის გახსნის პირველივე დღეს. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ თუ გვინდა ხელისუფლებასა და სახელმწიფოს დავეხმაროთ, კრიტიკულები უნდა ვიყოთ ნებისმიერი ხელისუფლების მიმართ. ხელისუფლება რომ გონივრული იყოს, ამას არაფერი ისე არ სჭირდება, როგორც კრიტიკა. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანები, რომლებიც ამ დანაშაულს ჩადიოდნენ, დასაწყისში არ იყვნენ ასეთები. მათ ჩვენ მივეცით ამის საშუალება.

მივესალმები სტუდენტურ აქტივობას. წინა ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ სეგმენტი, სადაც ყველაფერი მოგვარებული ჰქონდათ, სტუდენტობა იყო. თვლიდნენ, რომ ერთი კონკრეტული პოლიტიკური პარტიის სამსახურში ყველა დარაზმული ჰყავდათ და ამიტომ წყნარად იყვნენ. თუმცა, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მეც ასე ვვარაუდობდი. სტუდენტობა ყველაზე დაუმორჩილებელი და პროტესტანტი უნდა იყოს. ის პასიურობა, რაც ხელისუფლებას მშვიდად ყოფნის საფუძველს აძლევდა, გამოწვეული იყო ბოლო 20 წლის მანძილზე დიდი ენერგიის გაღებით. ბევრ რამეზე ჩვენმა საზოგადოებამ თვალი დახუჭა, მაგრამ ის, რაც სრულიად მიუღებელია, აღმოჩნდა კიდეც პროტესტის მიზეზი“, — აღნიშნა დათო ტურაშვილმა.

საუბრის დიდი ნაწილი ეხებოდა ადამიანის უფლებებს და მისი დაცვის მექანიზმების შემუშავების აუცილებლობას. მწერალმა გაიხსენა ის პერიოდი, როცა საბჭოთა კავშირის ფარდის მიღმა არსებულ ცხოვრებაზე სტუდენტებს მხოლოდ ყურმოკვრით სმენოდათ, მაგრამ ზუსტად იცოდნენ, რომ „განსხვავება საბჭოური ტიპის რეჟიმსა და დასავლური ტიპის ევროპულ ცივილიზაციას შორის ადამიანი იყო.“

„მომწონს სტუდენტური ორგანიზაციის სახელი „ლაბორატორია 1918“. შეიძლება დამთხვევაა, მაგრამ პირველად, როცა სტუდენტურ მოძრაობას ვიწყებდით, ჩვენც ამოვქექეთ უნივერსიტეტის წესდება, სადაც გარკვევით ეწერა, რომ უნივერსიტეტი არის დამოუკიდებელი და არც ერთ ხელისუფლებას არა აქვს უფლება ჩაერიოს მის საქმიანობაში. თუ ამ ორგანიზაციას, ამ ღირებულებების გამო ჰქვია „ლაბორატორია 1918“, ძალიან მიხარია. გამოდის, რომ მათი მთავარი მოთხოვნა არის თავისუფლება. სტუდენტი უნდა იყოს ყველაზე ლაღი, თავისუფალი და კრიტიკული, მაგრამ, რასაკვირველია, ყველაფერი სწავლასთან ერთად უნდა მოახერხოს“, — განაცხადა დათო ტურაშვილმა.

სტუდენტებმა სტუმარს იმ წლების გახსენება სთხოვეს, საიდანაც ეროვნული მოძრაობა დაიწყო. „საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის“ წარმომადგენელმა თეკლა ჯამრულიძემ აქცენტი იმ პარალელებზე გააკეთა, რომელსაც ხშირად ავლებენ დღევანდელ სტუდენტობასთან. კითხვაზე დათო ტურაშვილმა უპასუხა, რომ მაშინაც და ახლაც სტუდენტობა ერთი იდეის — თავისუფლების გარშემო იყვნენ გაერთიანებულნი. „ადამიანი იბადება იმისთვის, რომ თავისუფალი იყოს. არ მომწონს, როცა ახალგაზრდობიდანვე იწყებენ საკუთარი თავისუფლების შეზღუდვას. ყველაზე მთავარი, რაც მინდა ქვეყანას, თქვენ და ჩემს თავსაც ვუსურვო, არის თავისუფლება. სადაც ადამიანი თავისუფალია, იქ იგი გონიერიც არის და ქვეყნის კარგი მოქალაქეც.

მახსოვს, როცა პირველი მიტინგები გვქონდა, ჯანმრთელობის პრობლემების გამო აღმოვჩნდი საავადმყოფოში. არ გამომიშვეს. ერთი თვე ვიწექი. რა უნდა მეკეთებინა? გადავწყვიტე, კედლის გაზეთის მომზადება. დავარქვი „ავადმყოფის ხმა“. დერეფანში გავაკარი. დავწერე მოთხრობები, წერილები და ბოლოში მივაწერე: „შემდეგი ნომერი იქნება შემდეგ კვირას და ველი თქვენს წერილებს“. მარტო ავადმყოფებს კი არ მოჰქონდათ წერილები, საავადმყოფოს სხვა კორპუსებიდანაც მიგზავნიდნენ მასალებს. მივხვდი, რომ ადამიანებს არ ჰქონდათ თვითგამოხატვის საშუალება. ბოლოს ჩიხში შევედი, სტალინის სადღეგრძელოებიც კი მოჰქონდათ... ექიმს ვთხოვე გავეწერე“, — ასე გაიხსენა თავისი წარსული მწერალმა.

შეხვედრაზე დაისვა კითხვა: რა იყო იმის მიზეზი, რომ სტუდენტური მოძრაობა ყოველთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იწყებოდა? — ამ კითხვის პასუხად დათო ტურაშვილმა უნივერსიტეტის შექმნის ისტორია გაიხსენა და განაცხადა, რომ სტუდენტური აქტივობის ტრადიციას უნივერსიტეტის დაარსებისთანავე ჩაეყარა საფუძველი. „ადამიანებს, რომლებმაც ეს უნივერსიტეტი დააარსეს, სურდათ, რომ იგი ყოფილიყო ყველაზე თავისუფალი ადამიანების აღზრდის ადგილი. შემდგომში, გადატანითი თუ პირდაპირი მნიშვნელობით, უნივერსიტეტთან იყო დაკავშირებული ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდებოდა. უნივერსიტეტის თავგადასავალი იყო ჩვენი ქვეყნის თავგადასავალი და — პირიქით.

ცნობილი ამბავია, 1921 წელს, როცა რუსეთის არმიამ დაიწყო ტაბახმელასა და კოჯრის ტერიტორიაზე შემოსვლა, ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც თავისი სტუდენტებისგან ძალიან მკაცრად ითხოვდა სწავლას, ყველა აუდიტორიის კარი გააღო და სტუდენტებს უთხრა: თქვენი მთავარი მოვალეობა სწავლაა, მაგრამ ახლა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ ქვეყნის დამპყრობელს, რადგან ეს ისეთი ბოროტებაა, მერე არანაირი სწავლის საშუალება არ გექნებათო.

ბევრმა სხვა ადამიანმა, რომელიც უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, რეპრესიები განიცადა. ამის მიუხედავად, 37 წლის მერეც გამოჩნდა სტუდენტური მოძრაობა. ხალხს ხვრეტდნენ და ხვრეტდნენ, მაგრამ მაინც ვერ კლავდნენ თავისუფლების წყურვილს. ასე მოვედით დღემდე. სააკაშვილის ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ ყველა სტუდენტს აკონტროლებდა. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა კი სწორედ იქ დახვდათ, სადაც ეგონათ, რომ ყველაფერი კარგად იყო“, — აღნიშნა მან.

კითხვას, რომელიც ბოლონიის პროცესს და უნივერსიტეტის ავტონომიას შეეხებოდა, დათო ტურაშვილმა სხვა ქვეყნების მაგალითებით უპასუხა და განაცხადა, რომ ბევრ ქვეყანაში უნახავს ბოლონიის პროცესის მოწინააღმდეგეები. რაც შეეხება უნივერსიტეტის ავტონომიას, ეს ხელშეუხებელი სტატუსია: „სადაც კი ვყოფილვარ, ყველა ქვეყანაში მინახავს სტუდენტთა მრავალათასიანი პროტესტი ბოლონიის პროცესის წინააღმდეგ. სულ ვფიქრობდი: თუ მთელი ევროპა აპროტესტებს ამ პროცესს, ჩვენთვის რატომ უნდა იყოს კარგი?

ქვეყნებში, რომლებმაც საბჭოთა რეჟიმი გამოიარეს და ახალი სისტემების შექმნა თავიდან მოუწიათ, ყველაზე მნიშვნელოვანი განათლება აღმოჩნდა, რადგან მას მოაქვს სხვა დანარჩენი. ვფიქრობ, რომ სახელმწიფო არ უნდა აფინანსებდეს უნივერსიტეტს იმის სანაცვლოდ, რომ მერე თვითონ მართავდეს და ყველა პროცესის მაკონტროლებელი იყოს. ეს ჩემთვის მიუღებელია.

ვფიქრობ, უნდა არსებობდეს ნახევრად ფინანსური ავტონომია, რომელშიც სახელმწიფო გარკვეულ მონაწილეობას მიიღებს, მაგრამ არა იმის სანაცვლოდ, რომ აკონტროლებდეს მას. დაბადებიდან დემოკრატი ვარ, და შემიძლია, დავეთანხმო ნებისმიერი განსხვავებული აზრის არსებობას. ჩემთვის თავისუფლება არის აზროვნების კატეგორია. თქვენი ასარჩევია, როგორი იქნება უნივერსიტეტი. თუ არ მოინდომებთ, ბუნებრივია, ყოველთვის შეეცდება ვიღაც თავს მოგახვიოთ თავისი აზრი“.

„ლაბორატორია 1918“-ის წევრი **ბათუ კოპალიანი** დაინტერესდა, უნდა შეეხოს თუ არა სტუდენტური პროტესტი საზოგადოებისთვის სხვადასხვა პრობლემურ საკითხს და უნდა იღებდნენ თუ არა მის გადაჭრაში მონაწილეობას სტუდენტები? კითხვაზე დათო ტურაშვილმა უპასუხა, რომ ეს თავად სტუდენტების გადასაწყვეტია: „ჩვენი თაობა ყველაფერში ერეოდა, რადგან ვთვლიდით, რომ ის ცუდი რეჟიმი იყო. თქვენ რა გგონიათ, საფრანგეთი ვინ შეცვალა? დღეს რომ ის თანამედროვე ქვეყანაა, ეს სტუდენტების დამსახურებაა. მაშინდელ მთავრობასთან დაპირისპირება სორბონას უნივერსიტეტში დაიწყო, რადგან მიაჩნდათ, რომ საფრანგეთი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. ჩვენ გვინერგავდნენ, რომ ერთი კაცია ყველაფრის წარმმართველი, მაგრამ სინამდვილეში ძალიან ხშირად სწორედ სტუდენტები არიან ყველა ცვლილების სათავე. მაგალითად, ამერიკაში ყველა ცვლილება სამოციანი წლების ჰიპების მოძრაობას მოჰყვა. პოლიტიკოსები საკანონმდებლო ბაზას იმის მიხედვით ქმნიდნენ, რასაც ახალგაზრდები ითხოვდნენ. მოვლენების მმართველი ხართ თქვენ, მთავარია არ შეეგუოთ დანაშაულს“, — თქვა დავით ტურაშვილმა.

„ნარინჯისფერი კლუბის“ წევრი **თორნიკე ჯავახაძე** დაინტერესდა, რამდენადაა შესაძლებელი დღეს „ახალი ადამიანის“ შექმნა: „თქვენს მოთხრობებსა და რომანებში ჩემთვის საინტერესოა ქართველი ადამიანის დახასიათების თქვენეული სტილი, სადაც მარტივად და გასაგებადაა გადმოცემული ის ნიშან-თვისებები, რაც გვახასიათებს. პრეზიდენტმა ამას წინათ განაცხადა, რომ საქართველოში ახალი ადამიანი უნდა შეიქმნას. ამ კონტექსტით, კარგი და ცუდი ქართველის თქვენეული დახასიათება და პრეზიდენტის ინიციატივა რამდენად ადეკვატურია დღევანდელობასთან?“ — მიმართა მან სტუმარს, რაზეც დათო ტურაშვილმა სხვადასხვა მაგალითის მოხმობით განმარტა, რომ ის ინდივიდუალობა, რაც ქართველ ადამიანს აქვს, არ უნდა დაიკარგოს. თუმცა სიფრთხილით უნდა შეირჩეს ტრადიცია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა: „ქართველებს ერთი გამოთქმა გვაქვს — „არც მწვადი დაწვა და არც შამფური“. რომ დაუკვირდე, ვინც ასე იქცევა, ნამდვილი პროფესიონალია. ჩვენ პროფესიონალიზმისადმი დამოკიდებულებაც უცნაური გვაქვს: არის ერთი ნაწილი, რომელსაც არაფერი ქართული არ მოსწონს, მეორე ნაწილს კი, პირიქით, ყველაფერი მარტო ქართული მოსწონს. ჩემთვის ორივე დამოკიდებულება მიუღებელია. მომხრე ვარ ჯანმრთელი დამოკიდებულების, რომ ცუდიც დაინახო და კარგიც. რაც კარგია და ძვირფასი, რასაც ვეფუძნებით, როგორც ქვეყანა, კულტურა, ხალხი, ეთნოსი და განსხვავებული ფენომენი, ის უნდა შევინარჩუნოთ.

დასავლეთი სწრაფად განვითარდა ჩვენ — ჩამოვრჩით, რადგან ჩაგვკეტეს. ჩაკეტილ სამყაროში კი ადამიანი და ქვეყანა ვერ ვითარდება. ხომ გახსოვთ, ჰიმნი როგორ იწყება: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“, გაიხსენეთ, რუსთაველი როგორ „ამოგზაურებს“ პერსონაჟებს მთელ მსოფლიოში... მან ზუსტად იცის, რომ ჩაკეტილ სამყაროში არ შეიძლება განვითარდე. ამიტომ მომხრე ვარ, რომ ღია ვიყოთ მთელი სამყაროსადმი, არ შეგვეშინდეს სიახლეების და კარგი, აღმოსავლურია იგი თუ დასავლური, გავითავისოთ. თუმცა ერთია გასათვალისწინებელი: ცუდი უფრო ადვილად შემოდის, ვიდრე კარგი. კარგს სწავლა და მოთმინება სჭირდება. საბჭოთა პერიოდში ისეთი უნარები დაგვაკარგვინეს, რომ მათი აღდგენა ასე მარტივად არ ხდება, ამას დრო სჭირდება.!“ — განაცხადა მწერალმა.

მულტიმედია ჯგუფის „რეაქტორი”-ს წევრმა **გეძა გაბაძაძემ** კითხვა ახალგაზრდობის რელიგიურობის შესახებ დასვა. კერძოდ, იგი დაინტერესდა, რატომ არიან ქართველი ახალგაზრდები რელიგიურები?

ამ კითხვაზე დათო ტურაშვილმა პასუხი საკუთარი მოსაზრებით დაიწყო: „მე ერთმანეთისგან ვმიჯნავ რელიგიურობას და ეკლესიურობას. ჩვენ უფრო ეკლესიური ხალხი ვართ, ვიდრე რელიგიური. პოსტსაბჭოთა ხალხის თვისებაა, რომ ვიღაცაზე იყოს დამოკიდებული, ვიღაც მართავდეს. მას ლიდერი სჭირდება. ამიტომ ხან ერთს ჩამოვეკიდებით — ეს გადაგვარჩენსო, ხან — მეორეს. ასე მოხდა რელიგიაშიც. ესპანეთში ფრანკოს რეჟიმი ეკლესიას ეფუძნებოდა. მაშინ იქ თეოკრატიული ქვეყანა შექმნეს. დღეს უკვე ესპანეთში ადამიანს ვერ ნახავთ, რომ ეკლესიაში შევიდეს. ზედმეტმა დაძალებამ საპირისპირო შედეგი გამოიღო. სულ მეშინია, რომ ჩვენც იგივე არ დაგვემართოს“, — განაცხადა მან.

მულტიმედია ჯგუფის „რეაქტორი”-ს წევრმა **მამუკა მგალობლიშვილმა** საზოგადოების ჩამოყალიბებაში ხელოვნების როლზე ისაუბრა და დაინტერესდა, რას ფიქრობდა დათო ტურაშვილი თანამედროვე მუსიკაზე, კინოზე, თეატრსა და ლიტერატურაზე?

როგორც აღმოჩნდა, დათო ტურაშვილს კინოს განვითარების პროცესი მოსწონს და ფიქრობს, რომ ყინული დაიძრა. ასევე მოსწონს მას ლიტერატურის მრავალფეროვნება, თუმცა მიაჩნია, რომ უკვე დადგა დრო, როცა ქართული თანამედროვე ლიტერატურა უცხო ენებზეც ითარგმნებოდეს.

„მწყინს, რომ როკი ძალიან ცოტაა საქართველოში. როკი არის სტუდენტური მოძრაობის მთავარი მამოძრავებელი. სულ მიკვირს ინგლისურად რომ წერენ ქართველები სიმღერებს. ბობ დილანზე კარგად მაინც ვერ იმღერებ და ბარემ ქართულად იმღერე! ყველაზე დიდი შანსი იმისა, რომ შენი სიმღერით სხვა ქვეყანა და ხალხი დაინტერესო, არის შენი თვითმყოფადობა.

„როკი, უპირველეს ყოვლისა!“ — ამ საინტერესო მოწოდებით დაასრულა თავისი გამოსვლა მწერალმა.

ვადამდელი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების მოთხოვნა გაჟღერდა

სტუდენტური დისკუსია „ლაბორატორია 1918“

უნივერსიტეტის, როგორც ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იდეა, თავისთავად გულისხმობს სტუდენტთა აქტიურობას და თავისუფალი აზრისთვის ერთგვარი ასპარეზის გახსნას. ამ მოტივით განსაკუთრებით საინტერესოა ის პროცესები, რაც უკანასკნელ ხანს დაიწყო და ვითარდება სტუდენტთა წიაღში. ისინი მსჯელობენ, აანალიზებენ, იბრძვიან და აყალიბებენ იმ მოთხოვნებს, რისი განხორციელებაც აუცილებლად მიაჩნიათ თავისუფალი აკადემიური გარემოს შესაქმნელად.

სწორედ ამ საკითხებს ეძღვნებოდა ჰაინრიხ ბიოლის ფონდში გამართული დისკუსია — „უნივერსიტეტის ავტონომია, სტუდენტური თვითმმართველობა, ცვლილებების აუცილებლობა და შესაძლო ალტერნატიული მოდელები“, რომელიც 26 ოქტომბერს თსუ-ის სტუდენტთა ორგანიზაცია „ლაბორატორია 1918“-მა მოაწყო.

მაია ტორაძე

დისკუსია გახსნა „ლაბორატორია 1918“-ის წევრმა ლევან აბაშიძემ, რომელმაც დისკუსიის აუცილებლობის შესახებ ისაუბრა და დარბაზს ზოგადად გააცნო საკითხები, რომელთა გადაჭრის აუცილებლობა ქვეყანაში მომხდარმა პროცესებმა წარმოშვა.

„ჩვენმა ორგანიზაციამ სულ ცოტა ხნის წინ უნდობლობა გამოუცხადა ქვეყანაში, პირველ რიგში კი, უნივერსიტეტში არსებულ სისტემას. დღეს უკვე დადგა ის რეალობა, როცა არ შეიძლება ქვეყანაში ყველაფერი შეიცვალოს და უნივერსიტეტში სისტემა ხელუხლებელი დარჩეს. ამიტომ გვინდა, ჩვენი მონაწილეობით შეიქმნას ის მოდელი, რომლითაც მომავალში უნივერსიტეტი მოეწყობა. უნივერსიტეტი ისევ გახდება საზოგადოების ავანგარდი. იგი უნდა ეკუთვნოდეს ლექტორებს და სტუდენტებს. ამ მიზნით ჩვენ ვიწყებთ შეხვედრებს, რომელიც კიდევ უფრო ინტენსიური გახდება. მოგვიწევს დიდი საქმის გაკეთება, რომ ყველას დავანახოთ, როგორი ცხოვრება და უნივერსიტეტი გვჭირდება ჩვენ“, — განაცხადა მან.

ძირითადი მომხსენებლები იყვნენ „ლაბორატორია 1918“-ის წევრები სოსო ჭაუჭიძე და ალექსანდრე ცაგარელი.

სოსო ჭაუჭიძემ დისკუსიისთვის წარმოადგინა თემა „უნივერსიტეტის ავტონომია, მისი შიდა სტრუქტურები და აკადემიური მოწყობა“. მან დარბაზს გააცნო უნივერსიტეტის დღევანდელი სტრუქტურა და მისი მმართველობის ორგანოების ფუნქციები, რის შემდეგაც იმ მოდელზე გააკეთა აქცენტი, რისი დანერგვაც სტუდენტურ ორგანიზაციას აუცილებლად მიაჩნია. „უნდა შეიქმნას ისეთი სოციალური კონტექსტი, რომელშიც უნივერსიტეტის ავტონომია იმუშავებს. ამისთვის საჭიროა გავითვალისწინოთ ევროკავშირის ქვეყნებში არსებული მოდელი“, — განაცხადა მან.

სებებს ცენტრალიზებული სტრუქტურა, რომელიც ადმინისტრაციის ჩარევით მოახდენს გავლენას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესზე. ამისათვის აუცილებელია, ჩამოყალიბდეს დეცენტრალიზებული სისტემა, რომელშიც ძალაუფლება ისეა გადანაწილებული, რომ სტუდენტებსა და ლექტორებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი როგორც სასწავლო, ასევე, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე“, — განაცხადა სოსო ჭაუჭიძემ.

„ლაბორატორია 1918“-ის წარმომადგენლების აზრით, დღევანდელ უნივერსიტეტში ვერ იქნება აკადემიური თავისუფლება, რადგანაც იგი პირდაპირ დამოკიდებულია ადმინისტრაციაზე. მათი აზრით, მაქსიმალურად უნდა გაიმიჯნოს უნივერსიტეტის ფინანსები და აკადემიური სფერო — ადმინისტრაცია არ უნდა აკონტროლებდეს აკადემიურ საბჭოს, სასწავლო პროცესს და აკადემიურ სფეროს. „ჩვენ გვინდა: უნივერსიტეტის ავტონომიის პირობებში წარიმართოს თავისუფალი სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესი. სტუდენტმა მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზაცია. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაქსიმალური დემოკრატიული სასწავლო პროცესის მიღწევით და რეალური ავტონომიით. ჩვენ არ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან პასუხისმგებლობა და მიზნები, უნდა ვიცოდეთ, როგორ მივაღწიოთ აკადემიურ თავისუფლებას და ავტონომიურობას“, — განაცხადა სოსო ჭაუჭიძემ.

„ლაბორატორია 1918“-ის წევრმა ალექსანდრე ცაგარელმა წარმოადგინა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურა, აჩვენა, რომ დღეისათვის თსუ-ის სტუდენტები წარმოდგენილი არიან მხოლოდ სტუდენტურ თვითმმართველობაში, საიდანაც (ანუ, უკვე არჩეული წევრებიდან) ირჩევა სენატის წარმომადგენლები (სტუდენტები სენატში წარმოდგენილი არიან საერთო რაოდენობის 1/3).

ცვლილებების აუცილებლობა და შესაძლო ალტერნატიული მოდელები



მარე, რომელიც იქნება საერთო კრების, ანუ 120 დელეგატის მიერ არჩეული პირი და სხდომების წამყვანი. თუკი არ იარსებებს აღმასრულებელი პალატა, პრეზიდენტის არსებობაც არ იქნება საჭირო“, — განაცხადა ალექსანდრე ცაგარელმა.

მისი აზრით, სასურველია გაუქმდეს სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტები და ეს ადგილი გამოთავისუფლდეს სტუდენტების კერძო ინიციატივებისთვის.

„დეცენტრალიზაციასთან ერთად, ჩვენი მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ადამიანი იყოს ჩართული არა მხოლოდ კონტროლის მექანიზმებში, არამედ ხელისუფლების განხორციელებაში. პასუხისმგებლობა ყველაზე უნდა გადანაწილდეს. მთლიანობაში ჩვენი მოდელი, რომელიც დისკუსიების და განხილვების შედეგად მიიღებს საბოლოო სახეს, იქნება დემოკრატიული და დეცენტრალიზებული“, — აღნიშნა მომხსენებელმა.

აქვე თავისი მოსაზრება დააფიქსირა ამავე ორგანიზაციის წევრმა მათე გაბიცინაშვილმა, რომელმაც გააკრიტიკა უნივერსიტეტში არსებული სიტუაციისადმი სტუდენტების ინფანტილური დამოკიდებულება. „სტუდენტი აქტიური და ყველა პროცესში ჩართული უნდა გახდეს. ამ მდგომარეობამდე წლების განმავლობაში დამკვიდრებულმა ინფანტილიზმმა მიგვიყვანა და იგივე რომ არ განმეორდეს, ახალგაზრდებმა უნდა ვიაქტიუროთ. ჩვენზე უკეთ არავინ იცის, რა გვჭირდება“, — განაცხადა მან.

მომხსენებლების მიერ სადისკუსიო თემების წამოჭრის შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

სტუდენტთა კითხვები ეხებოდა რეგენტთა საბჭოს არსებობის და მისი დემოკრატიულ საწყისებზე გადაყვანის აუცილებლობას. აღინიშნა, რომ რადგანაც ეს საბჭო სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ უნივერსიტეტებისთვის გადაცემულ ფინანსებს აკონტროლებს, სათანადო საკანონმდებლო ცვლილების გატარებამდე იარსებებს, მაგრამ არანაირად არ უნდა ჩაეკითხზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს მსჯელობა და საბოლოოდ, ალბათ, შეჯერდებიან.

დისკუსიის მონაწილე სტუდენტებმა „ლაბორატორია 1918“-ის წევრებს მწვავე კითხვებიც დაუსვეს. კერძოდ, ისინი დაინტერესდნენ — რატომ არ ასრულებს თავად „ლაბორატორია 1918“ საკუთარ დევიზს — „სისტემა უნდა დაინგრეს!“ და რატომ არ სურთ მათ სტუდენტური თვითმმართველობის გაუქმება? „ის, რასაც ეს თვითმმართველობა აკეთებს, არ არის მასში გაწევრიანებული სტუდენტების ბრალი, რადგანაც ისინი სისტემამ გახადა ასეთი. ამიტომ ვინც არ უნდა მოვიდეს თვითმმართველობაში, ვფიქრობ, ისეთივე გახდება, როგორიც მათი წინამორბედი“, — განაცხადა შეკითხვის ავტორმა.

ამ კითხვა-რეპლიკაზე სოსო ჭაუჭიძემ განაცხადა, რომ არ ეთანხმება ამ ეტაპზე სტუდენტური თვითმმართველობის გაუქმების საკითხს, რადგანაც ცენტრალიზებული ადმინისტრაციის პირობებში მათ კიდევ უფრო გაეზრდებათ უფლებები. „ჩვენ გვინდა, ადმინისტრაცია მინიმალურად ერეოდეს სასწავლო პროცესში და მასში თანასწორუფლებიანად ჩაერთონ როგორც სტუდენტები, ისე ლექტორები“, — განაცხადა მან.

დისკუსიისას „ლაბორატორია 1918“-ის წევრმა ალექსანდრე ცაგარელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია დღეისთვის არსებული თვითმმართველობა დაიშალოს და ვადამდელი არჩევნები გაიმართოს. ამ პროცესში მონაწილეობის სურვილი „ლაბორატორია 1918“-ის წევრებსაც აქვთ.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის სივრცეში უნდა არსებობდეს 4 ტიპის ავტონომია: ორგანიზაციული ავტონომია (უნივერსიტეტის შესაძლებლობა — აირჩიოს და გაუშვას რექტორი, განკარგოს აკადემიური სტრუქტურები, შექმნას იურიდიული ორგანიზაცია), ფინანსური ავტონომია (უნივერსიტეტის შესაძლებლობა — თავად განკარგოს უნივერსიტეტის ბიუჯეტი, რომელიც მას სახელმწიფოსგან მიეცემა, დამოუკიდებლად აწარმოოს ფინანსური საქმიანობა, განსაზღვროს სტრატეგიული და პრიორიტეტული სფეროები და ბიუჯეტის ვადები, შეინახოს ნამატი ფინანსები წლის ბიუჯეტის დახარჯვის შემდეგ, გადაანაწილოს იგი პრიორიტეტების მიხედვით), საკადრო ავტონომია (უნივერსიტეტის შესაძლებლობა — თავისუფლად გადაწყვიტოს ადამიანური რესურსების, ხელფასის და საკადრო მენეჯმენტის საკითხები) და აკადემიური ავტონომია (უნივერსიტეტის შესაძლებლობა — დაადგინოს სტუდენტების რაოდენობა სასწავლო პროგრამებზე, გასცეს სამეცნიერო ხარისხები, დაადგინოს სასწავლო ენები სამივე საფეხურზე და ჩამოაყალიბოს სასწავლო პროგრამების შინაარსი).

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა თითოეულის მნიშვნელობაზე და წარმოადგინა „ლაბორატორია 1918“-ის ხედვა უნივერსიტეტის მოწყობის შესახებ. „უნივერსიტეტის რეალური ავტონომიის შემთხვევაში ვერ იარ-

ალექსანდრე ცაგარელმა განაცხადა, რომ სტუდენტური თვითმმართველობა მთლიანად არის თვითმმართველობის პრეზიდენტის ერთპიროვნული გადაწყვეტილებების გავლენის ქვეშ და აქ არავითარ დემოკრატიასა და წარმომადგენლობითობაზე საუბარი არ არის.

„თვითმმართველობის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს სტუდენტურ თვითმმართველობას, თავმჯდომარეობს აღმასრულებელ პალატას, დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს საერთო კრებას და ხელმძღვანელობს მას. იგი წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელ ორგანოებსა და მესამე პირებთან ურთიერთობაში, სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელს აწერს ოფიციალური ფინანსურ და იურიდიულ დოკუმენტებს, ასევე, საერთო კრებისა და აღმასრულებელი პალატის აქტებს. ანუ უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი არის უზარმაზარი ძალაუფლების მქონე პირი — იგი აღმასრულებელი პალატის ხელმძღვანელიც არის და საერთო კრებისაც.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს ის უაზრო ფუნქცია, რომელიც აქვს თვითმმართველობის აღმასრულებელ პალატას, ასევე, შეიზღუდოს პრეზიდენტის განუზომელი უფლება-მოსილებები (ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ამ მოდელს დავტოვებთ) და მის ნაცვლად უნდა არსებობდეს საერთო კრების თავმჯდომარიოს უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხებში. ასევე გადასახედია მისი დაკომპლექტების საკითხი, რადგანაც დღეს რეგენტთა საბჭო ყოფილი მინისტრების ყოფილი მოადგილეებისგან შედგება.

კითხვაზე, რა მოდელით აპირებს „ლაბორატორია 1918“ არჩევნებში მონაწილეობას, თუკი არსებული საარჩევნო დებულება მთლიანად არ აკმაყოფილებს დემოკრატიის მოთხოვნებს, „ლაბორატორია 1918“-ის წევრებმა უპასუხეს, რომ ეს საკითხი მართლაც გადასახედია, რადგანაც ის ხელოვნური ბარიერები და ქაღალდმანია, რაც არჩევნების მთავარ იდეას ეწინააღმდეგება, აუცილებლად გასაუქმებელია. მათი აზრით, თვითმმართველობაში წარმომადგენლები ფაკულტეტების მიხედვით კი უნდა ირჩეოდეს, მაგრამ სენატში უკვე სხვა სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ არჩევის შესაძლებლობა.

ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა „ნარინჯისფერი კლუბის“ წევრი ოთარ კობახიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში თითმმართველობა აზრს კარგავს. მისი თქმით, „ლაბორატორია 1918“ და „ნარინჯისფერი კლუბი“ თანხმდება, რომ თვითმმართველობა უნდა არსებობდეს, მაგრამ არჩევნების ორჯერ ჩატარება – ჯერ თვითმმართველობაში და შემდეგ სენატში საჭირო არ არის.

„ლაბორატორია 1918“-ის წევრებმა ამ მოსაზრების საპასუხოდ განაცხადეს, რომ არ მიაჩნიათ სწორად, ერთი და იგივე ადამიანის არჩევა ორ ორგანოში, თუმცა ამ საკითხზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს მსჯელობა და საბოლოოდ, ალბათ, შეჯერდებიან.

ამ განცხადებას მოჰყვა ლოგიკური კითხვა, რომელიც შეეხებოდა ორგანიზაციის პოზიციების ცვალებადობას. კერძოდ, გაზაფხულზე ჩატარებული სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დროს „ლაბორატორია 1918“ წინააღმდეგი იყო ამ პროცესში მონაწილეობისა, ახლა კი თავად აპირებს კენჭი იყაროს. დარბაზი დაინტერესდა, რატომ შეიცვალა მათი პოზიცია?

კითხვაზე სოსო ჭაუჭიძემ უპასუხა, რომ მაშინ, როცა „ლაბორატორია 1918“ ამ პოზიციაზე იდგა, არსებობდა სხვა პრიორიტეტები და თუ ისინი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მიიღებდნენ მონაწილეობას, ვერ გააგრძელებდნენ ბრძოლას სხვადასხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის. „დღეს სიტუაცია სხვაგვარია, მოხდა პრიორიტეტების ჩანაცვლება. ჩვენი მიზნები იგივეა, რომელთა მისაღწევად შეცვლილია მხოლოდ საშუალებები“, — დასძინა ალექსანდრე ცაგარელმა.

დისკუსიაზე საუბარი წარიმართა ასევე სწავლის გადასახადის ადეკვატურობაზე, სტუდენტთა სწავლის პერიოდში დასაქმების აუცილებლობასა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების მასშტაბურ ჩართულობაზე.

დასასრულ, ითქვა, რომ დისკუსია ამ საკითხებზე კვლავ გაგრძელდება, რაც იმის წინაპირობაა, რომ უნივერსიტეტს რეალური ავტონომია, სტუდენტს და ლექტორს კი თავისუფალი სასწავლო გარემო შეექმნას.

საჭიროებს თუ არა სასწავლო პროგრამები დახვეწას?

მეოთხე გვერდიდან

საქმიანობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ვფიქრობ, ეს რეგულაციები, და, ალბათ, ზოგადი განათლების შესახებ კანონი, გადასახედია. მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტს უნდა დაუბრუნდეს ფუნქცია — ყველა ძირითად სპეციალობასთან ერთად გასცეს მასწავლებლის კვალიფიკაციაც (ეს არ ეხება იურისპრუდენციას და მედიცინას), რადგან აქ არის პედაგოგიურ მეცნიერებათა მძლავრი მიმართულება, არის ის რესურსი, რომელსაც შეუძლია ეს ვალდებულება აიღოს და განახორციელოს კიდეც.

— ***რამდენი პროგრამის აკრედიტაცია მოხდა წელს და კონკრეტულად რა ახალი სამაგისტრო პროგრამები დამტკიცდა უნივერსიტეტში?***

— ახალი პროგრამები ერთგვარი კონცენტრაციების სახით გაერთიანდა და ჩამოყალიბდა. მაგალითად, ფილოლოგიის ახალი სადოქტორო პროგრამა. მასში რამდენიმე დამოუკიდებელი სუბიექტი (პროგრამა) არის თავმოყრილი, მაგრამ მათ აერთიანებს კვლევის ერთნაირი სტრატეგია და მისანიჭებელი ხარისხი — ფილოლოგიის დოქტორი.

სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის შემდეგ დღის წესრიგში დადგა იმ 156 ინდივიდუალური პროგრამის საკითხი, რომელიც უნივერსიტეტში ჯერ კიდევ არსებობს და რომელთაგან 113 უკვე დასრულების ფაზაშია (მილევადია). ისინი ორიენტირებული იყვნენ კონკრეტულ თემატიკაზე და პროგრამა ერქვა ყველაფერს, რაც მათ საკვლევ თემატიკას უკავშირდებოდა. მაგალითად, სტუდენტი რომ მუშაობდა კომპარატივისტიკაზე, ან იკვლევდა კონკრეტულ პერიოდს (ვთქვათ, რენესანსის ეპოქას), ეს მოაზრებული იყო, როგორც ცალკე სადოქტორო პროგრამა. ჩვენ თავი მოვუყარეთ ამგვარ გარდამავალ პროგრამებს და ყველა ასეთი სტუდენტი გადავიყვანეთ აკრედიტებულ პროგრამაზე. ისინი უკვე სრულიად ლეგიტიმურად დაასრულებენ მუშაობს და გრაფიკის მიხედვით დაიცავენ დისერტაციებს.

გვაქვს ასევე რამდენიმე უცხოენოვანი პროგრამა. მათ შორის აღსანიშნავია კლასიკური ფილოლოგიის მიმართულება, რომელზეც ამოქმედდა პროგრამა ევროპული ფილოლოგია. იგი ბოლონიის უნივერსიტეტთან ერთად ხორციელდება და დოქტორანტებს საშუალება ეძლევათ დაეუფლონ ფრანგულ, ესპანურ და იტალიურ ენებს, ასევე, აწარმოონ კვლევა ამ ენის წიაღში არსებულ ლიტერატურათმცოდნეობით ან ენათმეცნიერულ პრობლემებზე. ისინი სასწავლო კურსს გაივლიან როგორც თბილისის, ასევე ბოლონიის უნივერსიტეტებში.

ვგეგმავთ მემორანდუმების გაფორმებას პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი ხარისხის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განსახორციელებლად.

რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამებს, ამ მხრივ ბევრი სიახლეა. მაგალითად, 10 ახალი სამაგისტრო პროგრამა გვაქვს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (პოლიტიკის მეცნიერება; სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა; გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია; ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები; დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა, საზოგადოებრივი გეოგრაფია; სოციალური მუშაობა; ინფორმაციული საზოგადოება და მედიის სოციოლოგია; ფსიქოლოგიური შეფასება/დიაგნოსტირება და კონსულტირება), 37 ახალი სამაგისტრო პროგრამაა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (მათ შორის: ბერძნულ-რომანული ფილოლოგია, თარგმნის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა; ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე; კავკასიოლოგია; არაბისტიკა; რუსეთისმცოდნეობა და სხვ); 15 ახალი სამაგისტრო პროგრამაა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე (მათემატიკა; ფუნდამენტური ფიზიკა; კომპიუტერული მეცნიერებები, ინფორმაციული სისტემები; ინფორმაციული ტექნოლოგიები; ქიმიური ექსპერტიზა; გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება; ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება და სხვა).

მნიშვნელოვანი სიახლეა ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამა — ბიოფიზიკა; მისი ხელმძღვანელია პროფესორი თამაზ მძინარაშვილი. პროგრამა ანიჭებს ბიოფიზიკის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. სწორედ იმიტომ, რომ ეს პროგრამა ინტერდისციპლინურია, ის უკავშირდება როგორც ბიოლოგიის, ასევე, ფიზიკის მეცნიერებებს და გასცემს ცოდნას მაგისტრის ხარისხის შესაბამისად.

— ***როგორი იყო სტუდენტთა მიღების მაჩვენებელი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე?***

— მეამაყება, რომ წელს ბაკალავრიატში 4440 ვაკანსია გვქონდა და პირველ კურსზე პირველივე ჩარიცხვაზე მივიღეთ ამდენივე სტუდენტი. ეს მაშინ, როცა სხვა უნივერსიტეტებს მეორედი ჩარიცხვა დასჭირდათ. ასევე წარმატებით განხორციელდა მიღება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე. ცოტა მეღიმება, როცა რეიტინგები ქვეყნდება და გარკვეულ უმაღლეს სასწავლებლებს უჩნდებათ პირველობის ამბიცია. უნივერსიტეტის მასშტაბი აბსოლუტურად სხვა არის. როცა რომელიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს 80 ვაკანსია და ამ ვაკანსიათა შესავსებად ე.წ. მეორადი ჩარიცხვების გამოცხადება სჭირდება, აბიტურიენტთა არჩევანის მიხედვით „პირველობა" არ უნდა „დაიბრალოს", ეს უხერხულია. ამ ტიპის მონაცემების შედარებაც კი წარმოუდგენელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელიც ყველა მონაცემით პირველია საქართველოში და შეიძლება ითქვას, რეგიონშიც.

ამდენად, აკრედიტაციის პროცესის დასრულებით და რამდენიმე ათეული ახალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამით, ჩვენ დავიმკვიდრეთ თავი, როგორც ხარისხის მატარებელმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. მომავალში ვგეგმავთ, ასევე, წარმატებით ჩავერთოთ ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში, რისი რესურსებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უდავოდ გააჩნია.

სტუდენტური თვითმმართველობის ახალი შემადგენლობა წინამორბედს არ ჩამორჩება

ახალი სასწავლო წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV მოწვევის სტუდენტურმა თვითმმართველობამ მუშაობა განახლებული შემადგენლობით დაიწყო. ცენტრალური და საფაკულტეტო თვითმმართველობების წარმომადგენლები ტრადიციული პროექტების კვლავ განხორციელებას და სტუდენტებისთვის გარკვეული სიახლეების შეთავაზებასაც გეგმავენ, თუ რა თქმა უნდა, მათი ინიციატივები ახალ რეალობაში ალტერნატიული სტუდენტური მოძრაობის წარმომადგენლებისთვის და მათი მომხრეებისთვის მეტ-ნაკლებად მაინც მისაღები იქნება. ამ დროისთვის თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას, მისი პრეზიდენტის — დაჩი გუბაძის ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ვიცე-პრეზიდენტი სოფო ჩიტაძე ხელმძღვანელობს, რომელიც სტუდენტურ წარმომადგენლობით ორგანოში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებისა და დაგეგმილი სიახლეების შესახებ გვესაუბრა.

ნატო ოგოლაძე

— ***სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ საინტერესოა, როგორი სტრუქტურა ჩამოყალიბდა და რა მიმართულებით მუშაობთ?***

— თსუ-ის IV მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტს იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი თამთა ზაალიშვილი ხელმძღვანელობს, სპორტის დეპარტამენტს — ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი ლევან ხასაია, კულტურის დეპარტამენტს — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი გუკა სალუქვაძე, ტურიზმის დეპარტამენტს კი, ასევე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი გიორგი ფოლადიშვილი. მიმდინარე სასწავლო წლიდან ვაპირებთ, რომ აღვადგინოთ სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი. თსუ-ის კორპუსებში დავდგით სპეციალური ყუთები, სადაც სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ თავიანთი პრობლემების შესახებ დაწერილი წერილები ჩაეყარათ. მათი სურვილის შემთხვევაში დაცული იქნებოდა ანონიმურობაც. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი სტუდენტი არასერიოზულად მოეკიდა ამ საქმეს და უფრო ხშირად სახუმარო შინაარსის წერილებს ვიღებდით, ვიდრე რეალური პრობლემების ამსახველს. ახლა ვამუშავებთ გარკვეულ იდეებს, თუ როგორ შეიძლება სტუდენტების უფლებების დარღვევების შესახებ მაქსიმალური ინფორმაცია მივიღოთ.

— ***კონკრეტულად რა ფორმით შეეცდებით სტუდენტთა უფლებების დარღვევის თაობაზე ინფორმაციის მიღებას?***

— სოციალური ქსელის საშუალებით ვფიქრობთ, რომ გავაკეთოთ ერთგვარი ყუთი, სადაც სტუდენტები საკუთარი პრობლემების შესახებ დაწერილ წერილებს მოათავსებენ. შეიქმნება სპეციალური ელექტრონული მისამართიც. ეს ყველაფერი, ჯერჯერობით, იდეის დონეზე გვაქვს. გვინდა, რომ საუკეთესო ვარიანტზე შევჯერდეთ. მაქსიმალურად ვეცდებით, სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი უმოკლეს ვადაში ამუშავდეს.

— ***IV მოწვევის თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობაში რომელი სტუდენტები ხელმძღვანელობენ ცალკეული ფაკულტეტების თვითმმართველობებს და რა სიახლეები იგეგმება მათთან?***

— ცენტრალური თვითმმართველობა ახორციელებს ცენტრალურ და მასშტაბურ პროექტებს, სადაც ყველა ფაკულტეტის სტუდენტები არიან ჩართულები. რაც შეეხება ფაკულტეტების თვითმმართველობებს, ისინი ახორციელებენ უშუალოდ იმ სახის ღონისძიებებს, რაც მათ ფაკულტეტებზეა მორგებული. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარეა II კურსის სტუდენტი გიორგი ნოზაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის — II კურსის სტუდენტი ანა თაგვაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის – IV კურსის სტუდენტი დათო მჭედლიშვილი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის — IV კურსის სტუდენტი გიორგი ჯიქია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის – I კურსის მაგისტრანტი მიშა კვირკველია, მედიცინის ფაკულტეტის თვითმმართველობას კი V კურსის სტუდენტი გიორგი რაქვიაშვილი ხელმძღვანელობს.

მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს განსხვავებული სწავლის სტილი და მეთოდიკა აქვთ. III კურსიდან ისინი უკვე პრაქტიკებს გადიან სხვადასხვა საავადმყოფოებში, ამიტომ მათი ღონისძიებებიც შესაბამისია. სტანდარტული ღონისძიებები, ვგულისხმობ ესეების კონკურსს, სამეცნიერო კონფერენციებს და სხვა, მათთანაც ტარდება. რაც შეეხება დანარჩენ პროექტებს — პოეზიის საღამოებს თუ შეხვედრებს, ისინი თავად უწვენ ორგანიზებას ფაკულტეტის სტუდენტების სასწავლო გრაფიკის შესაბამისად. სტუდენტური თვითმმართველობის პარტნიორობით წელს მედიცინის ფაკულტეტზე ისევ განხორციელდება პროექტი „დათუნია დრუნჩას კლინიკა", რომლის ფარგლებშიც სტუდენტები უფასო კონსულტაციებს გაუწევენ ბავშვებს, ასევე, გაიმართება შიდსის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შესაბამისი ღონისძიება და განხორციელდება სხვა მრავალი პროექტი. თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები, ასევე, ჩართულნი არიან პროექტში, რომელიც საქართველოს მასშტაბით ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას ისახავს მიზნად.

— ***შიდასაუნივერსიტეტო თვალსაზრისით, რა სახის პროექტების განხორციელებას გეგმავს IV მოწვევის თვითმმართველობა?***

— ჩვენი ძირითადი მიმართულება კვლავ განათლება და მეცნიერებაა, რადგან სტუდენტებში ამ მიმართულებით მუშაობა ყველაზე მოთხოვნადია. გვაქვს დაახლოებით სავარაუდო მონახაზი, რის მიხედვითაც განათლების და მეცნიერების დეპარტამენტი მხოლოდ ამ სემესტრში 70-ზე მეტი პროექტის განხორციელებას აპირებს. თითო ფაკულტეტზე, საშუალოდ, 5 ან 6 ღონისძიება გაიმართება. დანარჩენი ღონისძიებები ცენტრალური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის

საინიციატივო ჯგუფის მიერ ჩატარდება: მაგალითად, ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?", რომელიც ყველაზე დიდი პოპულარობით გამოირჩევა ჩვენს სტუდენტებში, " ბრაინ რინგ", "ჭთ მოდელირება", „დებატების აკადემია", მასტერკლასები სხვადასხვა მიმართულებებით და სხვა მრავალი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კვლავ გაიმართება მასშტაბური ღონისძიება „ბიზნეს-ოლიმპიადა", „ეკო მასტერი", „ვიკიპედია" და სხვა. ამჟამად, განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტში მიმდინარეობს პროექტი „სტუდენტთა ინიციატივების წახალისება". ნებისმიერ სტუდენტს, რომელიც არ არის სტუდენტური თვითმმართველობის წევრი, საშუალება აქვს თავისი ინიციატივა წარმოადგინოს და თუ იგი რეალური იქნება, ჩვენ აუცილებლად დავეხმარებით განხორციელებაში. პროექტის „სტუდენტთა ინიციატივების წახალისება" ფარგლებში უკვე მესამე სტუდენტურ პროექტს ვუჭერთ მხარს. პირველი ორი წარმატებით დასრულდა. დარწმუნებული ვარ, მესამეც ასეთივე იქნება. ვფიქრობ, ეს ჩვენი მხრიდან კარგი წამოწყებაა, თუმცა სტუდენტური თვითმმართველობის კარი სტუდენტებისთვის ყოველთვის ღიაა და ვისაც რაიმე იდეა ექნება, ჩვენ აუცილებლად დავეხმარებით.

— ***რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გეგმავდით თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის გაზეთის გამოცემას. რა სიახლეებია ამ კუთხით?***

— თავიდან გაზეთი ელექტრონული სახით დაიწყებს ფუნქციონირებას, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, რომ ყოველკვირეულად გაეცნონ იმ ღონისძიებებს, რომლებსაც სტუდენტური თვითმმართველობა გამართავს. თვეში ერთხელ შემაჯამებელი გაზეთი გამოვა, რომელშიც საუკეთესო პროექტების ამსახველი სტატიები შევა. გვაქვს ასევე იდეა, რომ ჟურნალის სახით გამოვცეთ III მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის ანგარიში. ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია და ვფიქრობ, რომ ამ მხრივ IV მოწვევის თვითმმართველობა წინამორბედს არ ჩამოვრჩებით.

— ***თსუ-ის სტუდენტების ნაწილს, მიაჩნია, რომ თსუ-ში იზღუდება თავისუფალი სტუდენტების ინიციატივები. თქვენი აზრით, რამდენად სწორია აღნიშნული მოსაზრება სტუდენტური თვითმმართველობის ინსტიტუტთან მიმართებაში?***

— ვინც თვითმმართველობაშია, ის სტუდენტი არ არის? მისი პროექტი სტუდენტური ინიციატივა არ არის? ჩვენი კარი ღიაა ნებისმიერი სტუდენტისთვის, მისი ნებისმიერი ინიციატივისთვის, ჩვენ რაღაცა დახურულ კარებში არ ვსხედვართ და მარტო იმას არ ვაკეთებთ, რაც გვინდა. ჩვენი პროექტები სტუდენტებისგან მოდის. თუ მანამადე რომელიმე მათგანს არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ თავისი პროექტით მოსულიყო, ახლა მინდა, ყველამ იცოდეს — სტუდენტური თვითმმართველობის კარი ღიაა ყველა სტუდენტისთვის, ვისაც აქვს იდეა და უნდა ამ იდეის განხორციელება. ჩვენ, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში მათ დავეხმარებით. ნარინჯისფერების წარმომადგენლები არიან სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატებიც, ისინი მე არ მინახავს ჩართული რომელიმე ჩვენს პროექტში, ვგულისხმობ, ორგანიზატორის სახით. სტუდენტური თვითმმართველობის წევრები ბევრს შრომობენ, რომ ეს ღონისძიებები ხარისხიანად გაიმართოს. მოვიდნენ ეს ადამიანები და ჩაერთონ სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში. თუ რაიმე არ მოსწონთ, დააფიქსირონ და შეეცადონ შეცვალას, ამაში ხელს არავინ უშლით.

დებატები

ვინ? რატომ? როდის?

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ამავე ფაკულტეტის პირველკურსელების შეხვედრა, რომელიც სასწავლო პროცესის დასაწყისში სტუდენტური აქციების გამო გადაიდო, 17 ოქტომბერს, თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა. შეხვედრის მიზანი პირველკურსელებისთვის ფაკულტეტზე არსებული სასწავლო პროგრამებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობის გაცნობა გახლდათ, თუმცა ღონისძიების ძირითადი ნაწილი მაინც იმ საკითხების განხილვასა და დებატებს დაეთმო, რომელიც 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე გამართული სტუდენტური აქციების დროს იყო აქტუალური.

ნატო ოგოლაძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელებთან შეხვედრა დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ანდრო ბარნოვმა გახსნა. ღონისძიების დასაწყისში, პროგრამის მიხედვით, სოციოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელმა იაგო კაჭკაჭიშვილმა, პოლიტოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელმა მალხაზ მაცაბერიძემ, ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელმა მარიამ გერსამიამ, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელმა სოსო სალუქვაძემ, ფსიქოლოგიის მიმართულების კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელმა თამარ გაგოშიძემ და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელმა ზურაბ დოლენჯაშვილმა ახალგაზრდებს ფაკულტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.

შეხვედრას სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული 6 ახალგაზრდული ორგანიზაციის — „ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაცია“, „ლაბორატორია 1918“, „socium.ge“, „ახალგაზრდა დიპლომატთა ასოციაცია“, „ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბი“ და სტუდენტური თვითმმართველობის წევრებიც ესწრებოდნენ. დღის წესრიგის თანახმად, ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გამოსვლების დასრულების შემდეგ მათ საკუთარი ორგანიზაციების პრეზენტაციები უნდა გაემართათ, თუმცა დარბაზში შეკრებილმა სტუდენტებმა პირველ რიგში კვლავ იმ საკითხებზე დებატების წარმართვა მოისურვეს, რაც სექტემბრის თვეში სტუდენტური აქციების დროს მათი პროტესტის მთავარი მიზეზი გახლდათ.

პირველივე კითხვა, რომელიც შეხვედრაზე სტუდენტებმა ანდრო ბარნოვს დაუსვეს, მისი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნას უკავშირდებოდა.

„ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ბაჩო ახალაიას ყოფილი მოადგილე კიდევ დიდ ხანს უნდა იყოს დეკანი?“, — კითხვა დასვა „ლაბორატორია 1918“-ის წევრმა, თსუ-ის პოლიტოლოგიის მიმართულების მაგის-ტრანტმა ნიკა ქობულაძემ.

თქვენი აზრით, რა არის მიზეზი, რომ თქვენი დეკანის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნას სტუდენტების ასეთი პროტესტი მოყვა?“ — ასეთი შეკითხვით მიმართა ანდრო ბარნოვს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ხვიჩა ყაზარაშვილმა.

„ვიყავი საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე. სამი ძალიან მნიშვნელოვანი სფერო მქონდა ჩაბარებული და ყველა სფეროში ნამდვილად ფუნდამენტურად შეცვლილი მდგომარეობა დავტოვე. თქვენ ეს არ იცით და არც გევალებათ, მაგრამ როდესაც ასახელებთ სახელსა და გვარს, რომლის მოადგილე ვიყავი, ვფიქრობ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ეს უპატივცემულობაა იმ პიროვნების მიმართ, რომელიც მოღვაწეობს და შრომობს სახელმწიფოსთვის და რომელსაც ბევრი კარგი რამ მაქვს გაკეთებული“, — აღნიშნა პასუხად ანდრო ბარნოვმა.

ანდრო ბარნოვმა დეკანის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე მის დანიშვნას მოყოლილი სტუდენტების პროტესტი აკადემიური კონკურსის შედეგებით ახსნა, უფრო კონკრეტულად კი პროფესორ ლელა გაფრინდაშვილთან დაკავშირებული მოვლენებით. მისი თქმით, კონკურსი სამართლიანად ჩატარდა და მიღებულ გადაწყვეტილებას არანაირი პოლიტიკური საფუძველი არ ქონია.

„ქალბატონმა ლელამ იფიქრა, რომ ეს პოლიტიკური დევნა იყო, თუმცა რას ნიშნავს პოლიტიკური დევნა? იგი არ არის არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი. ცამდე მართალი ვარ ამ ამბავში მეც და კომისიის თითოეული წევრიც. შემდეგ შევთავაზეთ, რომ ემუშავა მოწვეული პროფესორის სტატუსით, თუმცა ამაზე მან უარი განაცხადა. ვფიქრობ, თუ არასწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, ამას სასამართლო გაარკვევს“, — განაცხადა ანდრო ბარნოვმა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამართული 2012 წლის აკადემიური კონკურსის შედეგების თემას გარკვეული დისკუსიაც მოყვა. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელმა იაგო კაჭკაჭიშვილმა ის კრიტერიუმები გააკრიტიკა, რის მიხედვითაც აკადემიური კონკურსის კომისია კანდიდატებს არჩევს.

„ერთერთი ის ადამიანი ვარ, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აღიარებს ქალბატონ ლელას კვალიფიკაციას და დიდ დანაკლისად მიაჩნია მისი უნივერსიტეტში არ ყოფნა. ჩემი კომენტარი ძალიან მარტივია — ყველა ის წესი, რომელიც უნივერსიტეტიდან კვალიფიციური პედაგოგის წასვლას განაპირობებს, უნდა გადაიხედოს. ლელა გაფრინდაშვილის კანდიდატურის დაწუნების მიზეზად ტექნიკური მიზეზი დასახელდა — მის საბუთებს სილაბუსები არ ჰქონდა დართული, რასაც ტექნიკურ ხარვეზს დავარქმევდი, რომელსაც არანაირი ძალა არ უნდა ჰქონდეს კვალიფიციური პედაგოგის უნივერსიტეტიდან გასაშვებად. პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევის კრიტერიუმები მოითხოვს ძალიან სერიოზულ გადახედვას, რადგან ისევ არ დავდგეთ იმ პრეცედენტის წინაშე, რომ დარგისთვის და სპეციალობისთვის მნიშვნელოვანი ადამიანები უნივერსიტეტის გარეთ აღმოჩნდნენ“, — აღნიშნა სოციოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელმა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

„ვეთანხმები ბატონ იაგოს, თუ წესი არ ვარგა, იგი უნდა გასწორდეს. ცხადია, არც ტექნიკური პრობლემა უნდა გახდეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი, მაგრამ ჩვენ თუ ვაპირებთ დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებას, იმ პროცედურებს, რომელზედაც იმ მომენტში კონსენსუსი არსებობს, უნდა დავემორჩილოთ. ქალბატონ ლელას განემარტა, რომ სილაბუსებიც უნდა წარმოედგინა. სპეციალისტმა, რომელმაც მისი საბუთები მიიღო, წერილობითაც მიმართა კომისიას, სადაც ამ ფაქტს ადასტურებს“, — განმარტა ანდრო ბარნოვმა.

ლელა გაფრინდაშვილის საკითხის განხილვას „ლაბორატორია 1918“-ის წევრებიც გამოეხმაურნენ. ოთარ კობახიძემ განაცხადა, რომ პროფესორ-მასწავლებელთა დისკრიმინაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტიკური ნიშნით ხდებოდა და მსგავსი შემთხვევები სხვა ფაკულტეტებზეც დაფიქსირდა.

„ორი წლის განმავლობაში ნამდვილად არ მქონია ბედნიერი სტუდენტობა, რადგან მე და ჩემს მეგობრებს გვქონდა განსხვავებული მოსაზრებები. ამის გამო არაერთ რამეში შეგვეშალა ხელი. რატომ გაჩნდა ეჭვები ქალბატონ ლელასთან დაკავშირებულ მოვლენებთან დაკავშირებით? იმიტომ, რომ გასულ წლებშიც შეიმჩნეოდა მსგავსი ტენდენციები. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან გაუშვეს ისეთი პროფესორები, რომელთაგან ახლა ორი მათგანი მინისტრთა კაბინეტის წევრია. შემდეგ გაუშვეს ფილოსოფოსი გია ბარამიძე, იურიდიული ფაკულტეტიდან გაუშვეს ძალიან ძლიერი კონსტიტუციონალისტი ირაკლი კობახიძე. ანუ, ძლიერი პროფესორები, რომლებიც სხვადასხვა საკითხებზე განსხვავებულ შეხედულებებს აფიქსირებენ, უნივერსიტეტიდან მიდიან, რაც თავისთავად ეჭვს ბადებს“, — აღნიშნა ოთარ კობახიძემ.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრაზე შეკრებილ სტუდენტებს თსუ-ის პროფესორმა, პარლამენტარმა გია ჟორჟოლიანმაც მიმართა და მათ მხარდაჭერა აღუთქვა.

„ჩვენი ქვეყნის მომავალი დამოკიდებულია ახალგაზრდობაზე, სტუდენტებზე. მე მოვიაზრები თსუ-სა და სტუდენტების წარმომადგენლად საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში. ყველა თქვენი პრობლემა ჩემი პრობლემაცაა, ამიტომ მზად ვარ, ვიყო თქვენს სამსახურში“, — განაცხადა გია ჟორჟოლიანმა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციის შეხვედრა სტუდენტებთან დაახლოებით 2 საათის განმავლობაში გაგრძელდა, რის შემდეგაც პირველკურსელებისთვის საკუთარი საქმიანობის გაცნობა მხოლოდ ორმა სტუდენტურმა ორგანიზაციამ შეძლო. შეხვედრაზე პრეზენტაციები, მხოლოდ თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ და „ნარინჯისფერთა კლუბმა“ წარმოადგინეს. „ნარინჯისფერებმა“ კლუბის მუშაობის პრიორიტეტად სამი მიმართულება დაასახელეს.

„ჩვენი მიზანია, უნივერსიტეტი გახდეს ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, როგორიც ივანე ჯავახიშვილმა დააფუძნა. უნივერსიტეტი უნდა იყოს ავტონომიური და თავად უნდა განკარგავდეს თავის რესურსებს. თსუ-ის ფუნქციაა — იყოს როგორც თეორიული განათლების ზონა, ასევე, კვლევითი და სამეცნიერო შემოქმედების არეალი, რასაც უნდა უზრუნველყოფდეს შიდა საუნივერსიტეტო პოლიტიკა. პირველკურსელებს მოვუწოდებთ, რომ დაგვიდგნენ გვერდით და ერთად დავიწყოთ უნივერსიტეტის უკეთესობისთვის შეცვლა. ასევე მინდა ვთქვა, რომ 100-მდე უნივერსიტეტი დავათვალიერე და ვერ მოვძებნე ვერც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომლის რექტორს ან რომელიმე ფაკულტეტის დეკანს არ ჰქონდეს აკადემიური გამოცდილება და ხარისხი. მინდა ვუთხრა სტუდენტებს, რომ ამ მხრივაც უნივერსიტეტში არსებული ვითარება არ შეესაბამება არც ივანე ჯავახიშვილის მიერ დაფუძნებულ უნივერსიტეტს და არც ევროპულ სტანდარტებს“, — განაცხადა „ნარინჯისფერი კლუბის“ დამფუძნებელმა ლევან ლორთქიფანიძემ.

რაც შეეხება „ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციას“, „socium.ge“-ს და „ახალგაზრდა დიპლომატთა კლუბს“, მათ პირველკურსელებისთვის პრეზენტაციის წარდგენა ვეღარ მოახერხეს, რადგან დაახლოებით სამ საათიანი შეხვედრის შემდეგ დარბაზი სტუდენტებისგან თითქმის დაცარიელდა.

სტუდენტების „მაჟორიტარი“ პარლამენტში

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ალტერნატიულ ორგანიზაციებად მოაზრებული სხვადასხვა სტუდენტური გაერთიანების წარმომადგენლები საბჭოს ჩამოყალიბების ინიციატივით გამოდიან, რომელიც სტუდენტთა უფლებებს დაიცავს. გარდა ამისა, საბჭოს წევრ-სტუდენტთა გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები პარლამენტარ გია ჟორჟოლიანის დახმარებით პარლამენტში გაჟღერდება — სწორედ ეს ამოცანები დასახეს თსუ-ის საკონფერენციო დარბაზში შეკრებილმა სტუდენტებმა, რომლებიც, ასე ვთქვათ, ახალგაზრდების „მაჟორიტარ” დეპუტატს, თსუ-ის პროფესორს, მათ მასწავლებელს გია ჟორჟოლიანს შეხვდნენ.

„აქ შევიკრიბეთ, რათა გაგაცნოთ თსუ-ის იმ სტუდენტების ინიციატივა, ვინც მონაწილეობდა სტუდენტურ საპროტესტო გამოსვლებში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან საუბრებში და იყო სხვადასხვა იდეის ავტორი. ჩვენ, სტუდენტებმა, გადავწყვიტეთ, რომ ჩამოვაყალიბოთ საბჭო, რომელიც დაიცავს სტუდენტთა ინტერესებს და გამოეხმაურება მიმდინარე მოვლენებს. ბატონი გია ჟორჟოლიანი საშუალებას გვაძლევს, რომ ჩვენი გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები პარლამენტში გაჟღერდეს. საბჭოს ფუნქციონირებისთვის საჭირო იქნება შეკრებები, რომელზეც წამოვჭრით და განვიხილავთ იმ პრობლემებს, რაც გვაწუხებს — ეხება ეს უნივერსიტეტის ავტონომიურობის, სტუდენტური თვითმმართველობის, სწავლების პროცესის თუ ადმინისტრაციასთან ურთიერთობის საკითხებს... ბატონი გია პერიოდულად დაესწრება ჩვენს შეხვედრებს, რომელზეც ჩვენს გადაწყვეტილებებს გავაცნობთ, რასაც იგი შემდგომ საკანონმდებლო ორგანოში გაახმაურებს. საინიციატივო ჯგუფის აზრით, ეს კარგი და პერსპექტიული ინიციატივაა, რადგან ჩვენ გვეძლევა საკუთარი მოსაზრებების, ინიციატივებისა და რეკომენდაციების ფართოდ წარმოჩენის საშუალება პარლამენტში ჩვენი ხმის უფლების დაცვის თვალსაზრისით. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ ვიმუშავებთ, რადგან ესეც განსაზღვრავს ჩვენი უნივერსიტეტის ბედს და ცვლილებებს ქვეყანაში,“ — აღნიშნა საინიციატივო ჯგუფის ერთერთმა ხელმძღვანელმა, ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის” წარმომადგენელმა, თსუ-ის სტუდენტმა თეკლა ჯამრულიძემ, რომელიც პარლამენტარ გია ჟორჟოლიანთან სტუდენტთა თავყრილობას უძღვებოდა.

გია ჟორჟოლიანმა, რომელსაც დარბაზში შეკრებილ სტუდენტთა წინაშე საკუთარი თავის წარდგენა არ დასჭირვებია, თავის გაზრდილ, მეგობარ, ნაცნობ თუ უცნობ სტუდენტებს თანადგომა აღუთქვა და მათი გეგმებისა და მოსაზრებების გაცნობის მიზნით, სავარაუდოდ, თვეში ერთხელ შეხვედრას დაპირდა.

„მზად ვარ, მუდმივად ვიყო თქვენი ინტერესების გამტარებელი, ვიყო თქვენი წარმომადგენელი პარლამენტში არა მხოლოდ სტუდენტური ცხოვრების საკითხების გადაწყვეტის, არა მხოლოდ საუნივერსიტეტო საკითხების გადაჭრისთვის ბრძოლის მხრივ, არამედ ნებისმიერი სხვა აქტუალური თემის განხილვისა და პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით”, — აღნიშნა გია ჟორჟოლიანმა, რომელიც შეკრებილ სტუდენტებს არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზეც ესაუბრა და რომელმაც ახალ რეალობაში მათი როლის მნიშვნელობა გამოკვეთა.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი” მომავალში ფართოდ გააშუქებს სტუდენტური საბჭოს საქმიანობასა და შეხვედრებს მათ „მაჟორიტარ” დეპუტატთან, რაც, უდავოდ, ახალ წამოწყებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

თეკლა ჯამრულიძე: საინიციატივო ჯგუფის აზრით, ეს კარგი და პერსპექტიული ინიციატივაა, რადგან ჩვენ გვეძლევა საკუთარი მოსაზრებების, ინიციატივებისა და რეკომენდაციების ფართოდ წარმოჩენის საშუალება პარლამენტში ჩვენი ხმის უფლების დაცვის თვალსაზრისით. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ ვიმუშავებთ, რადგან ესეც განსაზღვრავს ჩვენი უნივერსიტეტის ბედს და ცვლილებებს ქვეყანაში

თსუ–ის სტუდენტების სოლიდარობა გაფიცულ მუშებს

„ჭიათურელი მუშები გაფიცვას აგრძელებენ. მათ მონური მუშაობა აუტანელ პირობებში უწევთ. ანაზღაურება დაბალია. ჩვენ, სტუდენტები, სოლიდარობას ვუცხადებთ გაფიცულ მაღაროელებს. მუშების მოთხოვნების შესრულებასთან ერთად აუცილებელია შეიცვალოს შრომის კოდექსი, რომელიც ძირითადად დამსაქმებლის უფლებებზეა ორიენტირებული“ - ეს მიმათვა 20 ოქტომბერს თსუ–ის სტუდენტური ორგანიზაცია „ნარინჯისფერი კლუბის“ მიერ ფეისბუქის საშუალებით გავრცელდა,

21 ოქტომბერს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ ჭიათურელი მუშებისადმი სოლიდარობის გამომხატველი აქცია მოეწყო. სტუდენტთა გამოსვლა ქუთაისში გამართულ იმ საპროტესო აქციასაც ეხმიანებოდა, რომელსაც პარლამენტის შენობის წინ სტუდენტები უძღვებოდნენ. პარლამენტის წინ, ახალი მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს პირველი სხდომის გამართვამდე სტუდენტებმა გააპროტესტეს შრომის კოდექსის დღეს მოქმედი პუნქტები, მუშებისადმი არაადამიანური მოპყრობის ფაქტები და ხმა აიმაღლეს უსამართლობის წინააღმდეგ. პარლამენტის ახალი შენობის წინ სტუდენტთა მიტინგს თსუ-ის სტუდენტური ორგანიზაცია „ნარინჯისფერი კლუბისა” და „ლაბორატორია 1918“-ის წევრებიც შეუერთდნენ. მათ შორის იყვნენ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართელობის დამოუკიდებელი დელეგატები: ასლან ართმელაძე, ოთარ კობახიძე და ლევან ლორთქიფანიძე.

როგორც ოთარ კობახიძემ გვითხრა, ქუთაისის აქციაზე 3 ძირითადი „მესიჯი“ იყო გაგზავნილი. „კოდექსი ხშირად უპირატესობას ანიჭებს დამსაქმებელს. ამდენად, პირველ რიგში, ჩვენ ვაპროტესტებდით დაბალ ხელფასებს და დაქირავებულ ადამიანთა მონურ მუშაობას. მომავალში მსგავსი ფაქტები აღარ უნდა განმეორდეს. მეორე მესიჯი ციხეებში გამოვლენილ ძალადობაში მხილებულთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება იყო. მესამე — უნივერსიტეტის ავტონომიის მოთხოვნას უკავსირდებოდა, რაც ასევე მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა ოთარ კობახიძემ.

რაც შეეხება ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ გამართულ აქციას, ეს საპროტესტო გამოსვლა „ნარინჯისფერი კლუბისა“ და სტუდენტური გაერთიანება „რეაქტორის“ მიერ იყო ორგანიზებული. როგორც „ნარინჯისფერი კლუბის“ თავმჯდომარემ ნინო ტურიაშვილმა გვითხრა — „ჩვენი კლუბი სოლიდარობას უცხადებს დასაქმებულ მაღაროელებს და მათ ლეგიტიმურ პროტესტს. ამავე დროს, ჩვენ ახალი პარლამენტისგან მოვითხოვთ უმაღლესი განათლების სისტემის ფართომასშტაბიან რეფორმას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მეცნიერების დაფინანსების გაზრდასა და უნივერსიტეტთა ავტონომიურობის უზრუნველყოფას. ჩვენ შევახსენებთ ქართველ პოლიტიკოსებს, რომ სტუდენტები ნებისმიერი ვითარების დროს გავაგრძელებთ საზოგადოებრივ ზეწოლას ხელისუფლებაზე.“

მეგი საჯაია
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

შექსპირის გავლენა თანამედროვეობაზე

„ქარიშხალი“, რომელიც მტერსაც კი თავს არ უნდა დაატეხო...

შურთხია ბეროშვილი

„შექსპირის გავლენა თანამედროვეობაზე“ — ამ სახელწოდებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული II საერთაშორისო სამეცნიერო ინტერდისციპლინარული კონფერენცია გაიმართა. კონფერენციას, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, ქართველ მკვლევარებთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებიც ესწრებოდნენ, მათ შორის, ბრიტანეთის (ოქსფორდი), აშშ, იტალია, თურქეთის, ირანის უნივერსიტეტის პროფესორებიც, რომლებმაც დიდი ინგლისელი მწერლის შემოქმედება მრავალმხრივი კუთხით წარმოაჩინეს.

როგორც თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის ლიტერატურის მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა მანანა გელაშვილმა აღნიშნა, შექსპირი თანამედროვე ეპოქაშიც არ კარგავს აქტუალობას, რადგან მისი შემოქმედების შესწავლის მხრივ საკითხების არეალი ძალიან ფართოა, ამიტომ მეცნიერებს აინტერესებთ არა მხოლოდ თავისთავად შექსპირი, როგორც მწერალი, არამედ, მისი გავლენა შემდეგ ეპოქებზე და ხალხებზე, როგორც ევროპულ, ისე აღმოსავლურ ლიტერატურაზე. „პირველი სამეცნიერო კონფერენციიდან დღემდე დიდი ხანი გავიდა. სამწუხაროდ, პროფესორ ნიკო ყიასაშვილის გარდაცვალების შემდეგ ეს ტრადიცია დაიკარგა, ამიტომ მისასალმებელია, რომ ამდენი ხნის წყვეტის შემდეგ უნივერსიტეტში კვლავ შევიკრიბეთ შექსპირის შემოქმედებაზე სასაუბროდ“, — აღნიშნა კონფერენციის ხელმძღვანელმა და ორგანიზატორმა მანანა გელაშვილმა.

კონფერენციაზე დიდი ადგილი დაეთმო შექსპირის თარგმნის, შესწავლისა და ინსცენირების ისტორიისადმი მიძღვნილ გამოსვლებს. აღსანიშნავია თსუ-ის ღვაწლმოსილი პროფესორის ნატალია ორლოვსკაიას მოხსენება, რომელიც საქართველოში შექსპირის თარგმანებს შეეხებოდა. შექსპირის სონეტების გივი გაჩეჩილაძისეულ თარგმანებზე ისაუბრა პროფესორმა ზაზა გაჩეჩილაძემ, მაია ყიასაშვილის მოხსენება კი ქართული შექსპიროლოგიის განვითარებასა და ნიკო ყიასაშვილის ღვაწლს მიეძღვნა. მანანა გელაშვილმა თავის მოხსენებაში რობერტ სტურუას მიერ დადგმული სპექტაკლის — რიჩარდ III–ის ანალიზი წარმოადგინა. შთამბეჭდავი იყო ოქსფორდის უნივერსიტეტის კარლ შმიდტის ნაშრომი — „ორი სახის დუმილი შექსპირთან“. იტალიის შექსპირის ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა მარიანჯელა ტემპერამ კონფერენციის მონაწილეების წინაშე შექსპირის რამდენიმე იტალიური დადგმის ფრაგმენტი და მათი ანალიზი წარმოადგინა.

კონფერენციის მნიშვნელოვანი თემები იყო: „შექსპირი და სტერნი“, „შექსპირი და ტომ სტოპარდი“, „შექსპირი და ჯოისი“, „შექსპირი და ჰაქსლი“ - ამ საკითხების კვლევა წარმოადგინეს დავით მაზიაშვილმა, ელისო ფანცხავამ, ქეთევან გრძელიძემ, ლაშა ჩახვაძემ, ლელა ჟამურაშვილმა. ილია პაჭკორიას, ვერა გოგოხიას და ჩარლზ ფეარბეკსის მოხსენებებმა კი ცხადყვეს, როგორ აქტუალურად ჟღერს შექსპირი თანამედროვე პოლიტიკურ რაკურსშიც.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ კონფერენციაში ახალგაზრდებიც აქტიურად იყვნენ ჩართული. თამარ გელაშვილის და ანა მაკალათიას მოხსენებებმა დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა.

კონფერენციის თანაორგანიზატორის, დოქტორანტის დათო მაზიაშვილის აზრით, კონფერენცია მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ სახელოვნებო კუთხითაც. „აქამდე ერთგვარი წყვეტა იყო შექსპირის შესწავლასა და თეატრს შორის, ამიტომ სასიხარულოა, რომ ეს ტრადიცია აღსდგა. საქართველოში დიდი ხნის შემდეგ კვლავ გაიმართა საერთაშორისო, ინ-ტერდისციპლინარული სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მრავალი მიმართულებით იყო შექსპირის შემოქმედება წარმოდგენილი, ამასთან ერთად, კონფერენციის ეგიდით, რობერტ სტურუას ხელოვნების ცენტრში მოეწყო რობერტ სტურუას სპექტაკლის — „ქარიშხალი“ ჩვენება. სპექტაკლი თავად რეჟისორმა წარადგინა. მომდევნო დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიაში კი მოეწყო მრგვალი მაგიდა“, — აღნიშნა დათო მაზიაშვილმა.

დათო მაზიაშვილი

როგორც სპექტაკლის წარდგენისას რობერტ სტურუამ აღნიშნა, „ქარიშხალი“ შექსპირის უკანასკნელ პიესად ითვლება და ის, გარკვეულწილად, დრამატურგის ანდერძად არის მიჩნეული.

„საქართველოში თქვენ პირველი მაყურებლები ხართ ჩემი ახალი სპექტაკლისა და ამასთან, პირველი სტუმრები ბრძანდებით ამ უჩვეულო სივრცისა, რომლის მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა. მიხარია, რომ სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ხართ ჩემი სტუმრები და საქართველოში პირველები თქვენ შეაფასებთ ჩემს ახალ სპექტაკლს. პიესის მთავარი პერსონაჟი — პროსპერო ერთგარად მოხუცებული ჰამლეტის სახეა, რომელიც ყველა თავის მტერს დანაშაულს პატიობს. რამდენად სწორად გავიაზრე პიესა, ეს მაყურებლის შესაფასებელია.. ამ სპექტაკლმა უკვე გარკვეული წარმატება მოიპოვა მოსკოვში, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანია ქართველი მაყურებლის შეფასება“, — აღნიშნა რობერტ სტურუამ.

კონფერენციაზე სამმავლო თანამშრომლობის გზები დაისახა და აღინიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლავაც გაგრძელდება გენიალური ინგლისელი მწერლის შემოქმედების კვლევა.

კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის შემუშავება

24 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტემპუსის გამარჯვებული საგრანტო პროექტის ფარგლებში გაიმართა კონსორციუმის I საერთაშორისო კონფერენცია „კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის შემუშავება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებისათვის“.

ღონისძიებაში მონაწილეობდა პროექტის 30 უცხოელი და 25 ქართველი წარმომადგენელი.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ პროექტის — „კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის შემუშავება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებისათვის“ ინიციატორი არის ისრაელის მხარე, კერძოდ, გორდონის განათლების აკადემიური კოლეჯი. საქართველოს და ისრაელის მხრიდან პროექტში მონაწილეობს 6-6 უმაღლესი სასწავლებელი და 2-2 არასამთავრობო ორგანიზაცია, ხოლო ევროკავშირის მხრიდან კონსორციუმის წევრები არიან გერმანიის, ბრიტანეთის, ჰოლანდიის, ავსტრიის და ესტონეთის უნივერსიტეტები — სულ 22 წევრი.

მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, გორდონის (ისრაელი) განათლების აკადემიური კოლეჯის პრეზიდენტმა, ბატონმა იეხეკელ ტალერმა, სახნინის (ისრაელი) კოლეჯის რექტორმა ბატონმა მუჰამად იბდაჰმა, კაიეს (ისრაელი) კოლეჯის რექტორმა, ქალბატონმა გილა კათცირმა.

პროექტის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა პროექტის კოორდინატორმა დოქტორმა რიონდა სოფერმა.

კონფერენციაზე განიხილეს თემები ადამიანის უფლებათა დაცვისა და იმ პედაგოგიური მიდგომების შესახებ, რომელიც სტუდენტებს შორის კულტურულ და ეთნიკურ ურთიერთგაგებას შეუწყობს ხელს.

ღონისძიებაზე ასევე ისაუბრეს ისრაელისა და საქართველოს კულტურებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ საკითხებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროგრამების განვითარების პროცესებზე.

„მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცოტა დრო იყო კონფერენციის მოსამზადებლად, მონაწილე ქვეყნების და განსაკუთრებით, საქართველოს მხრიდან მხარდაჭერამ, განაპირობა კონსორციუმის საწყისი კონფერენციის წარმატებით ჩატარება, რისთვისაც განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ტემპუსის ადგილობრივი ოფისის ხელმძღვანელს, ქალბატონ ლიკა ღლონტს, ასევე, თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლებს და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს დარეჯან თვალთვაძეს. კონსორციუმის ასეთი ფართო წარმომადგენლობა ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ დიდია ამ პროექტის მნიშვნელობა მასში მონაწილე ქვეყნების მულტიკულტურული განათლებისათვის“, — აღნიშნა პროექტის კოორდინატორმა თსუ-ის მხრიდან, პროფესორმა იზაბელა პეტრიაშვილმა.

კონფერენციის მიზანი იყო მონაწილეების გაცნობა, სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება, მათი ხელმძღვანელების არჩევა, უახლოესი გეგმების შემუშავება.

კონფერენციის ფარგლებში მონაწილეებმა სამუშაო შეხვედრები გამართეს ასევე თელავისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

კონფერენცია ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ გაგრძელდება მუდმივი კომუნიკაცია ელექტრონული ფორმატით, მათ შორის საკუთარი ელექტრონული პორტალის მეშვეობით, რომელიც რამდენიმე თვეში შეიქმნება.

კონსორციუმის მომდევნო ორი შეხვედრა დაგეგმილია მომავალ წელს ავსტრიასა და გერმანიაში.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

საიათნოვას 300 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

26 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საიათნოვას 300 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. საიათნოვას შემოქმედებით კონფერენციაზე დაინტერესებულმა ქართველმა და სომეხმა მკვლევარებმა მოხსენებები წაიკითხეს.

კონფერენცია თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა გახსნა. „დღევანდელი ღონისძიება საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთხელ გავიხსენოთ საიათნოვას შემოქმედება. ქართველი და სომეხი მეცნიერების მიერ წარმოდგენილი მოხსენებები წარმოაჩენს საიათნოვას, როგორც ჩვენი ორი ერის გამაერთიანებელი მოვლენის მნიშვნელობას“, — განაცხადა რექტორმა.

ერევნის უნივერსიტეტის რექტორის არამ სიმონიანის თქმით, „საიათნოვა ორივე ხალხის დიადი პოეტია. მნიშვნელოვანია, რომ საიათნოვასადმი მიძღვნილი კონფერენცია თსუ-ში ტარდება. ერევნის უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს თსუ-სთან. ერევანში სწავლობენ საქართველოს მოქალაქეები, სომეხი სტუდენტებიც სწავლობენ თსუ-ში. კონფერენციის მსვლელობისას და დასრულების შემდგომაც საუბარი ამ ურთიერთობათა გაღრმავებას შეეხება“.

„მნიშვნელოვანია, რომ ერევნის შემდეგ საიათნოვას იუბილე თბილისში განსაკუთრებული ხიბლით აღინიშნება. ეს ხალხთა შორის მეგობრობის კიდევ ერთი დასტურია“, — აღნიშნა სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ჰოვანეს მანუკიანმა.

ღონისძიებას თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები, ლექტორები, სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ლევონ ანანიანი და სომხური დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„საბავშვო უნივერსიტეტი“ ფიზიკის როლის დაკნინებას ებრძვის

რამაზ ხომერიკი: *ახალგაზრდებმა უნდა იგრძნონ, რომ ფიზიკა მხოლოდ კომპიუტერების აწყობაში კი არ გამოადგებათ, არამედ, როგორც ამ დარგის მიმდევრებს, სხვა პერსპექტივებიც ექნებათ...*

შურთხია გეროშვილი

წელს უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე ჩაბარების მსურველთა რაოდენობამ იმატა, ამ საგნის მიმართ ინტერესი ალბათ იმანაც განაპირობა, რომ დღეს საბუნებისმეტყველო დარგებისადმი ხელშეწყობა სახელმწიფო ინტერესებშიც შედის. თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტი“ დაარსების დღიდან ცდილობს სკოლის მოსწავლეებში პოპულარიზაცია გაუწიოს აქამდე „ნაკლებად პრესტიჟული“ საგნების შესწავლას.

„ჩვენ ამ მხრივ დიდი ტრადიცია გვაქვს — საქართველოში არსებობდა მძლავრი ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის და სხვა საბუნებისმეტყველო დარგების სკოლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ ტრადიციების გამგრძელებელია. სიტუაცია პირველ რიგში საჯარო სკოლებში უნდა გამოსწორდეს. ვცდილობთ, მოვიზიდოთ მოსწავლეები, რათა უკეთ შევასწავლოთ ეს სფეროები და როგორც მომავალ სპეციალობას, იმ კუთხიდანაც შეხედონ. ეს დღევანდელ ტექნოგენურ ეპოქაში ძალიან მნიშვნელოვანია და „საბავშვო უნივერსიტეტი“ ამისთვის კარგი სტარტია. საგულისხმოა, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ ამ პროფესიის ადამიანებს მეტი პერსპექტივა ექნებათ არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც, რადგან მთელ ცივილიზებულ სამყაროში მოთხოვნილება ასეთ საგნებზე ძალიან გაიზარდა. ამ სპეციალობაში ინვესტიციის ჩადება მშობლების მხრიდანაც გამართლებულია. ჯერჯერობით ჩვენთან არ არის ტექნოლოგიური ბაზარი, რომ ყველა კვალიფიცირებული სპეციალისტი დასაქმდეს, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ეს ხარვეზიც გამოსწორდება“, — აღნიშნა მარინა ლომოურმა.

25 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საბავშვო უნივერსიტეტის“ ნორჩ ფიზიკოსთა სკოლის მოსწავლეები კიდევ ერთი საინტერესო ლექციის მოსასმენად შეიკრიბნენ. თსუ-ის ასოცირებული პროფესორის რამაზ ხომერიკის ლექციამ თემაზე: „არაწრფივი ტალღები და რხევები“, დიდი ინტერესი გამოიწვია.

რამაზ ხომერიკმა მოსწავლეებს პოპულარულ ენაზე განუმარტა, როგორ მიიღება განმხოლოებული ტალღები, რომლებიც ტელეკომუნიკაციო სისტემებში გამოიყენება.

როგორც ლექციის შემდეგ სკოლის მოსწავლეებმა აღნიშნეს, ფიზიკისადმი ინტერესი სწორედ „საბავშვო უნივერსიტეტში“ მოსმენილი ლექციების შემდეგ გაუღრმავდათ და შეუყვარდათ, ზოგიერთმა კი სწავლის გაგრძელება ამ მიმართულებითაც გადაწყვიტა.

ანა ილურიძე,
63-ე სკოლის
X კლასის მოსწავლე:

„ფიზიკის ლექციებს ჩემი მეგობრის რჩევით ვესწრები, რომლებიც თსუ-ში ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობენ. პირველად თამაზ ნადარეიშვილის ლექციას დავესწარი, ძალიან მომეწონა და კლასელებსაც ვურჩიე მოსვლა. დედა ფიზიკოსი მყავს, მაგრამ ჯერ თვითონ არ ვიცი, გავაგრძელებ თუ არა ამ მიმართულებაზე სწავლას“.

ბაქარ კაპანაძე,
63-ე სკოლის
X კლასის მოსწავლე:

„სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებას გამოყენებითი მათემატიკისა და ინფორმატიკის ფაკულტეტზე ვაპირებ, ამიტომ, ფიზიკის ცოდნაც დამჭირდება. ეს საგანი ძალიან მომწონს და მაინტერესებს, თუმცა, ამ ეტაპზე, ამ დარგში პერსპექტივას ვერ ვხედავ“.

ნიკა თოდრია,
161-ე სკოლის
XI კლასის მოსწავლე:

„საბავშვო უნივერსიტეტში“ შარშანაც დავდიოდი, მაინტერესებს ეს საგანი, სწავლის გაგრძელებასაც ფიზიკის ფაკულტეტზე ვაპირებ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში ლექციებს ვესწრები, ეს საგანი იმდენად შემიყვარდა, რომ თანახმა ვარ, ცხოვრება მივუძღვნა. ჩემი ოცნებაა, ევროპის რომელიმე კვლევით ცენტრში გავაგრძელო სამეცნიერო საქმიანობა“.

თსუ-ის ასოცირებული პროფესორის რამაზ ხომერიკის აზრით, ბოლო წლებში ფიზიკის ფაკულტეტზე მსურველთა რაოდენობის შემცირებას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. „ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო ეს დარგი გამოუყენებელი გახდა, ამასთან, სკოლებშიც მკვეთრად დაეცა სწავლების დონე. მისასალმებელია, რომ სახელმწიფომ ამ კუთხით ზრუნვა დაიწყო. ჩემი აზრით, მდგომარეობა, პირველ რიგში, სკოლებში უნდა გამოსწორდეს, ამასთან, ახალგაზრდებმა უნდა იგრძნონ, რომ ფიზიკა მხოლოდ კომპიუტერების აწყობაში კი არ გამოადგებათ, არამედ, როგორც ამ დარგის მიმდევრებს, სხვა პერსპექტივებიც ექნებათ“, — აღნიშნა რამაზ ხომერიკმა.

შემოდგომის ლეგენდა 2012 — იმპროვიზაციული ტური ქართულ შატოში

20 ოქტომბერს კახეთში, მერეს სასახლეში სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა“ იმპროვიზაციული ტური გაიმართა. კონკურსის 10-მა ფინალისტმა, 8 საათის განმავლობაში, ჟიურის მიერ მიწოდებულ თემაზე ახალი ნაწარმოებები შექმნა.

წელს კონკურსის ორგანიზატორებმა ფინალისტებს სიახლე შესთავაზეს, გასული წლებისგან განსხვავებით ლიტერატურულ შეხვედრაზე, რომელიც იმპროვიზაციული ტურის წინა საღამოს იმართება, ჟიურის წევრებმა მონაწილეებს კონკრეტული ფრაზის ნაცვლად ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად წერილები გადასცეს სლოგანით „კედლის წერილები“. ლიტერატურული ჟიურის წევრებმა ფინალისტებისთვის ორ-ორი წერილი შექმნეს, მონაწილეებს მათი ლიტერატურული ინსპირაცია დაევალათ.

ფინალისტები ქართულ შატოში 19 ოქტომბერს გაემგზავრნენ. კონკურსის დაწყებამდე ერთი დღით ადრე მონაწილეებისთვის ლიტერატურული შეხვედრა და გასული წლის გამარჯვებულის - ივა ფეზუაშვილის ფილმის „ბაბაზი“ ჩვენება მოეწყო. მერეში სტუდენტებთან ერთად იმპროვიზაციულ ტურს კონკურსის ლიტერატურული ჟიურის წევრებიც დაესწრნენ. ჟიურის



შემადგენლობაში თანამედროვე ქართველი მწერლები დავით ტურაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, მაკა ლდოკონენი, სალომე ბენიძე და ივა ფეზუაშვილი შედიან. ჟიურის მეხუთე წევრი გასული წლის გამარჯვებულია. აღნიშნული ტრადიცია წელს ჩამოყალიბდა და კონკურსის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით ყოველ წელს პირველი ადგილის მფლობელი ავტომატურად მომდევნო წლის ჟიურის წევრი გახდება.

ლიტერატურული კონკურსი ორ ეტაპად განხორციელდა. I ტურმა სტარტი სწავლის დაწყების დღეს - 17 სექტემბერს აიღო და სამი კვირის განმვლობაში ტარდებოდა. კონკურსში მონაწილეობას თბილისში აკრედიტირებული სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები იღებდნენ. 196 კონკურსანტიდან შიდა შესარჩევმა ჟიურიმ 10 ფინალისტი გამოავლინა. ფინალისტებს შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 6, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 2, თავისუფალი უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თითო წარმომადგენლები არიან.

ლიტერატურულმა ჟიურიმ სამი საუკეთესო ნაშრომის ავტორი უკვე გამოავლინა. მათი ვინაობა ნოემბრის დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაგეგმილ დაჯილდოების საღამოზე გახმოვანდება. გამარჯვებული სამეული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფულადი პრემიით და კომპანია „ჯეოსელის“ სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდება. ამასთან, პირველი ადგილის მფლობელს კონკურსის სიმბოლო გადაეცემა. დაჯილდოების საღამოზე იმპროვიზაციული ტურის საუკეთესო ნაწარმოებებისგან შექმნილი კრებულის პრეზენტაციაც გაიმართება.

თსუ-ის
საზოგადოებასთან
ურთიერთობის
დეპარტამენტი

თსუ-ის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი გთავაზობთ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასერტიფიკატო კურსებს:

მათემატიკა (პროფესიული ცოდნა)

მასწავლებლის პროფესიული განვითარების კურსი „მათემატიკა (პროფესიული ცოდნა)“ განკუთვნილია საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებისათვის და მისი მიზანია მათემატიკის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, მათი საგნობრივი ცოდნის გაღრმავების ხელშეწყობა და აღჭურვა სწავლების თანამედროვე მეთოდებით.

კურსის დასრულების შემდეგ მსმენელებს მიენიჭებათ 2 აკადემიური კრედიტი.

კურსის ღირებულება:
80 ლარი

პედაგოგები:
თეიმურაზ ვეფხვაძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი,

გურამ გოგიშვილი — აკადემიური დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა უმაღლეს და საშუალო სკოლებში, აქვს ტრენერად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება,

ია მებონია — აკადემიური დოქტორი, 1992 წლიდან კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში, აქვს ტრენერად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება,

ლამარა ქურჩიშვილი — აკადემიური დოქტორი, 1992 წლიდან კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში.

ინოვაციური საკითხები მათემატიკის პროგრამაში
(პროფესიული ცოდნა სასკოლო რეფორმის კონტექსტში)

პროგრამის მიზანია სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები მოამზადოს სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მათემატიკის იმ ნაწილში, რომლებიც არატრადიციულია სასკოლო პროგრამაში, მაგრამ აუცილებელია მასწავლებლის სტანდარტის მიხედვით.

კურსის დასრულების შემდეგ მსმენელებს მიენიჭებათ 2 აკადემიური კრედიტი.

კურსის ღირებულება:
80 ლარი

პედაგოგები:
გრიგოლ სოხაძე — ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ილია თავხელიძე — ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ომარ ფურთიხია — ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

რუსლან სურმანიძე — ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი;

ბაჩუკი მესაბლიშვილი — ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

კურსების წარმატებით გავლის შემთხვევაში გაიცემა თსუ-ის სერტიფიკატი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზირი №3, თბილისი, 0179, საქართველო ოთახი №103

ტელეფონი 2- 22-36-52;

ელფოსტა: tsuLLL@tsu.ge

მომავალი ფიზიკოსის ძიებანი

შურთხია გეროშვილი

ეს არის მეცნიერება, რომელიც უფრო გაახლოებს სამყაროსთან, გაცნობს მის სტრუქტურას და შენს სულიერ განვითარებასაც უწყობს ხელს...

წელს მერაბ მალიშავამ თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტზე ჩააბარა და 100%-იანი დაფინანსებაც მოიპოვა. იგი საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ეროვნულ გამოცდებზე მან საერთო ჯამში, ყველაზე მეტი — 2327,2 ქულა დააგროვა. უდავოა, რომ მერაბს წინ საინტერესო სტუდენტური ცხოვრება ელის. ამბობს, რომ სირთულეების გადალახვა არ აშინებს, რადგან დასახული მიზნის მისაღწევად არც შრომისმოყვარეობა აკლია და ამასთან, არჩეული პროფესიაც ძალიან მოსწონს.

მერაბი ბევრს კითხულობს, მისი საყვარელი მწერალი ფეოდორ დოსტოევსკია, ქართველი მწერლებიდან რუსთაველისა და გალაკტიონის პოეზია მოსწონს, მაგრამ როგორც თავად ამბობს, სამყაროს შეცნობაში ყველაზე მეტად ფიზიკა ეხმარება, ამიტომ პროფესიის არჩევაზე ბევრი არ უფიქრია.

მერაბმა ბავშვობა რუსეთში გაატარა და მხოლოდ 13 წლის ასაკში დაბრუნდა საქართველოში, ალბათ ამანაც განაპირობა, რომ მან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ყველაზე მაღალი შეფასება — 100 ქულა რუსულში დაიმსახურა, ასევე, წარმატებით ჩააბარა გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

„საქართველოში რომ ჩამოვედი, ქართული საერთოდ არ ვიცოდი, თუმცა, რუსულიდან ქართულ გარემოში ადაპტაცია არ გამჭირვებია. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან სირთულეები იყო, მეგობრებისა და პედაგოგების დახმარებით, ყველა სიძნელე დავძლიე. თავდაპირველად კომაროვის სკოლაში რუსულ სექციაში დავიწყე სწავლა, მაგრამ მოსწავლეების სიმცირის გამო იგი გაუქმდა და სწავლა ქართულად გავაგრძელე. ძალიან დამეხმარნენ პედაგოგები — ხშირად ჩემთვის გაუგებარ ადგილებს მითარგმნიდნენ. ნელ-ნელა მშობლიური ენაც ავითვისე და მისაღებ გამოცდებზე 72 ქულა მივიღე, რაც ჩემი აზრით, კარგი შედეგია“, — ამბობს მერაბი.

კითხვაზე, რატომ აირჩია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისი მოსაზრება აქვს. „არჩევანი უნდა გამეკეთებინა თავისუფალ უნივერსიტეტს, საქართველოს უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის. გულახდილად გეტყვით, შედარებით დაბალი გადასახადის გამოც შევაჩერე თსუ-ზე არჩევანი, მაგრამ მიზეზი ისიც იყო, რომ მიუხედავად იმისა, თავისუფალი უნივერსიტეტი ჩვენთან პრესტიჟულ სასწავლებლად ითვლება, იქ ფიზიკის ფაკულტეტი მხოლოდ ერთი წელია რაც არსებობს, საზღვარგარეთ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უფრო ცნობილია და კარგი რეპუტაცია აქვს, მომწონს აქ არსებული პროგრამებიც, ამიტომ ვთვლი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე“.

პირველკურსელი სტუდენტი უკვე ბევრს ფიქრობს, როგორ გამოიყენოს არჩეული პროფესია. თვლის, რომ ფიზიკის კარგად შესწავლა მრავალმხრივ განვითარებაში დაეხმარება.

„ფიზიკა საინტერესო საგანია. იგი უნარებს ავითარებს, რომელიც ცხოვრებაში გეხმარება, მაგალითად, ინფორმაციის დამუშავებისა და სწრაფად მოპოვების მხრივ, რაც დღეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის მეცნიერება, რომელიც უფრო გაახლოებს სამყაროსთან, გაცნობს მის სტრუქტურას... ამიტომ სულიერ განვითარებასაც უწყობს ხელს და კიდევ, ამ საგანს სხვა ბევრი ხიბლიც აქვს“, — ამბობს მერაბი.

მერაბს სერიოზული გეგმები აქვს სამომავლოდ, მისი სურვილია სწავლა საზღვარგარეთ გააგრძელოს და რომელიმე სამეცნიერო კვლევით ცენტრში იმუშაოს, თუმცა, არც იმას გამორიცხავს, რომ ბიზნესშიც სცადოს ბედი.

„ჩემი გეგმების განხორციელებას მხოლოდ დიდი შრომის შედეგად შევძლებ. სად გავაგრძელებ ჩემს საქმიანობას, ამაზე გადაჭრით ვერ გიპასუხებთ. მაგალითად, ყველა ფიზიკოსის ოცნებაა ცერნში მუშაობა, თუმცა, მაინცდამაინც ამის ამბიცია არ მაქვს. დღეს მსოფლიოში უამრავი საკვლევი ლაბორატორიაა, მაგალითად, ამერიკაში, სადაც ამ პროფილის ყველა უნივერსიტეტს თავისი კვლევითი ცენტრი აქვს, მაგრამ ეს შედარებით შორეული პერსპექტივაა. თსუ-ს ბევრი საინტერესო გაცვლითი პროგრამა აქვს, სადაც შესაძლოა, სწავლის გასაგრძელებლად II ან III კურსიდან წავიდე“.

მერაბს ძალიან ცოტა დრო რჩება გართობისთვის, მაგრამ მაინც ახერხებს ცურვაზე სიარულს, მუსიკის მოსმენას და კვირაობით მეგობრებთან ერთად კალათბურთის თამაშს. „ჯანმრთელი ცხოვრების წესი იმისთვისაც არის აუცილებელი, რომ ადამიანმა გაუძლოს ცხოვრებისეულ სიძნელეებს, სპორტი მენტალურადაც გვეხმარება, როდესაც ფიზიკურად ჯანმრთელი ხარ, გონებრივადაც მომზადებული ხარ. თავისუფალ დროს ხანდახან ჩემ პატარა ელექტროგიტარაზეც ვუკრავ“, — ამბობს მერაბი.

მომავალ ფიზიკოსს მიაჩნია, რომ როდესაც სპეციალობას კარგად დაეუფლება, მრავალი პროფილით შეუძლია მოსინჯოს ძალები — ბიზნესში, ეკონომიკაში და თვით ჟურნალისტიკაშიც კი... ძიების პროცესი მისთვის თავის დამკვიდრების მოსინჯვის მცდელობაა.

სანამ დავსვამთ კითხვას — „რამ შემქმნა ადამიანად?“, უნდა ვიცოდეთ — რისგან შედგება სამყარო?



მაია ტორაძე

18 ოქტომბერს საბავშვო უნივერსიტეტის მსმენელებმა ფიზიკის მიმართულებით პირველი ლექცია მოისმინეს.

ლექციის დაწყებამდე საჯარო სკოლების მოსწავლეებს მიესალმა თსუ-ის რექტორის მრჩეველი და „საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორი მარინა ლომოური. მან აღნიშნა, რომ ამგვარი ლექციები ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას და მათ დაინტერესებას ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით. „მოსწავლე ჩვენი ხვალინდელი სტუდენტია და რაც უფრო კარგად გაიცნობს უნივერსიტეტს, მით უკეთ გაიგებს, რა სპეციალობა აინტერესებს, რა მეცნიერება იზიდავს. „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში სკოლები სხვადასხვა სამეცნიერო კუთხით მუშაობს და იქაც ბევრ მოსწავლეს ველოდებით. ასევე, შეუძლიათ მათ მონაწილეობა მიიღონ სადისკუსიო კლუბში, რომელიც შაბათობით იმართება“, — განაცხადა მან.

სალექციო თემა, რომლის მიმართაც თბილისის საჯარო სკოლების 100-ზე მეტმა მოსწავლემ გამოამჟღავნა ინტერესი, ლექტორმა, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორმა, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორმა **თეიმურაზ ნადარეიშვილმა** ერთ კითხვაში გააერთიანა — „რისგან შედგება სამყარო?“.

ლექცია სამი ნაწილისაგან შედგებოდა.

შესავალში ლექტორი შეეცადა პასუხი გაეცა მთავარ კითხვაზე და იმის გასაგებად, თუ რისგან შედგება სამყარო, მცირე ექსკურსი მოაწყო ატომისტური მოძღვრებიდან თანამედროვე ელემენტარულ ნაწილაკებამდე, კვარკების ჩათვლით.

მეორე ნაწილში მან ისაუბრა ბუნებაში არსებულ 4 ტიპის ფუნდამენტალურ ძალებზე (გრავიტაციული, ელექტრომაგნიტური, ძლიერი ურთიერთქმედებები, სუსტი ურთიერთქმედებები) და ველის ერთიანი თეორიის, ანუ ამ ძალების ერთ ძალად წარმოდგენის შესაძლებლობებზე.

მესამე დასკვნით ნაწილში კი თეიმურაზ ნადარეიშვილმა მოსწავლეებს გააცნო შვეიცარიაში მდებარე დიდ ადრონულ კოლაიდერზე მიმდინარე ექსპერიმენტების მნიშვნელობა. მან დაწვრილებით ისაუბრა იმ ექსპერიმენტებზე (ATLAS; CMS), რომელშიც ქართველი მეცნიერებიც მონაწილეობენ. ასევე ახსნა დიდი ადრონული კოლაიდერის სამედიცინო მიზნებით გამოყენების შესაძლებლობები.

ჩემი შთაბეჭდილება

საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ინტერესით მოუსმინეს ლექციას და კითხვებიც დასვეს. მათი დიდი ნაწილი ამბობდა, რომ სხვადასხვა საგნებზე ლექციის მოსასმენად უნივერსიტეტში ხშირად ივლის, რადგანაც სამეცნიერო საკითხების შესახებ პოპულარულ ენაზე საუბრები მოსწონს:

მარიამ მესხიშვილი, 82-ე საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე: „ჩვენ წელს დავიწყეთ ფიზიკის სწავლა და რაც აქ მოვისმინე, ძალიან საინტერესო იყო. განსაკუთრებით დამაინტერესა საუბრებმა სამყაროს წარმოშობის საწყისზე.“

გიორგი დავითაშვილი, 82-ე საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლე: „ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო სამყაროს აჩქარებული გაფართოების საკითხი. მომავალში არ ვიცი, რას ვიზამ, მაგრამ მგონია, რომ ადამიანმა, რა სპეციალობისაც უნდა იყოს იგი, ფიზიკა, ცოტა მაინც, ყველა შემთხვევაში უნდა ისწავლოს“.

გიორგი ჭკადუა, 105-ე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე: „ამ ლექციაზე გავიგე, რისგან შედგება სამყარო, რა არის ატომები, ელემენტარული ნაწილაკები და ა.შ. დამაინტერესა ჟენევაში მდებარე დიდი ადრონული კოლაიდერის ექსპერიმენტებმა... მომავალში ალბათ დავფიქრდები, საით გადავიხარო. მომწონს, რომ უნივერსიტეტში ლექციების მოსმენის საშუალება გვაქვს“.

მარი ბეგიაშვილი, 105-ე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე: „ჩემთვის ძალიან სასიამოვნო შეგრძნებაა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოსვლა და აქ ლექციების მოსმენა. ბევრი რამ გავიგე და საინტერესო საკითხებიც მოვისმინე. განსაკუთრებით დამაინტერესა ინფორმაციამ „ღვთიური ნაწილაკის“ — ჰიგსის ბოზონის აღმოჩენის შესახებ. ვფიქრობ, „საბავშვო უნივერსიტეტი“ ძალიან დაგვეხმარება ჩვენს ბავშვურ კითხვებზე პასუხების მოძებნაში“.

ლექციით კმაყოფილნი ჩანდნენ პედაგოგებიც, ისინი აღნიშნავდნენ, რომ ფიზიკის თანამედროვე მიღწევების შესახებ ლექციის მოსმენა არა მხოლოდ მოსწავლეების, არამედ მათთვისაც საინტერესო იყო და მომავალში „საბავშვო უნივერსიტეტით“ კიდევ უფრო მეტი მოსწავლის დაინტერესებას შეეცდებიან:

თეა მამისაშვილი, 82-ე საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი: „პირველად მყავს მოსწავლეები უნივერსიტეტში. ამჟამად მე-8 კლასელები წამოვიყვანე, რადგანაც ფიზიკა მათთვის ახალი საგანია და მინდოდა, მისი შესწავლის მოტივაცია გაზრდილიყო. ვფიქრობ, დაინტერესათ, რადგანაც უსმენდნენ და შეკითხვებიც დასვეს“.

მარი ბეგიაშვილი: განსაკუთრებით დამაინტერესა ინფორმაციამ „ღვთიური ნაწილაკის“ — ჰიგსის ბოზონის აღმოჩენის შესახებ. ვფიქრობ, „საბავშვო უნივერსიტეტი“ ძალიან დაგვეხმარება ჩვენს ბავშვურ კითხვებზე პასუხების მოძებნაში“.

თამარ თავდიშვილი, 105-ე საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი: „მოსწავლეები ახალ ფიზიკას, თანამედროვე ტექნოლოგიებს უნდა იცნობდნენ. ჩვენ, მასწავლებლებს, გვიტარდება სემინარები და ტრენინგები, მაგრამ ბავშვებიც უნდა მიეჩვიონ ამ სიახლეებს. გარდა ამისა, უნდა ისწავლონ ლექციაზე ჯდომა, მისი მოსმენის კულტურა. ამდენად, ეს ლექცია მრავალმხრივ სასარგებლო იყო ჩემი მოსწავლეებისთვის“.

ლექციის დასრულების შემდეგ თსუ-ის ასისტენტ-პროფესორმა თეიმურაზ ნადარეიშვილმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ ლექციას სხვადასხვა სკოლიდან ბევრი მოსწავლე ესწრებოდა: „მგონია, რომ ფიზიკის მიმართულებით ყინული დაიძრა. რაც შეეხება თავად ლექციას, შევეცადე მარტივად, პოპულარულ ენაზე ამეხსნა ბავშვებისთვის ფიზიკის ურთულესი კანონები და სამყაროს კანონზომიერებები. აინშტაინმა თქვა — თუ ბავშვს და არაპროფესიონალს გააგებინებ შენს საგანს, მაშინ შენ თვითონ გესმის ეს საგანი. ბედნიერი ვიქნები, თუ ამ მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა გაიგო რაზეც ვისაუბრეთ, “ — განაცხადა მან.

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **სოსო გამგებელი**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ნოდარ ბელქანია, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62